



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე „ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ“

(საჩივარი №35403/06)

გადაწყვეტილება
სტრასბურგი

2011 წლის 15 თებერვალი

საბოლოო გახდა

18/03/11

წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას.

საქმეზე „ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:

ფრანსუაზ ტულკენსი, თავმჯდომარე
დანუტე იოჩიენე
დრაგოლიუბ პოპოვიჩი
ანდრაშ შაიო
ნონა წოწორია
კრისტინა პარდალოსი
გვიდო რაიმონდი, მოსამართლეები
და *ფრანსუაზ ელენს-პასოსი*, სექციის განმწესრიგებლის მოადგილე
2011 წლის 25 იანვარს გამართული დახურული თათბირის შემდეგ, იმავე დღეს, გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

I. პროცედურა

1. საქმის საფუძველია საჩივარი (№35403/06) საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც 2006 წლის 15 აგვისტოს სასამართლოში შეიტანა საქართველოს მოქალაქემ, *ქ-მა სვეტლანა ცინცაბაძემ* („მომჩივანი“), ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე.

2. მომჩივანს წარმოადგენდა *ქ-ნი სოფიო ჯაფარიძე*, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის („საია“) ადვოკატი თბილისიდან, ასევე ბატონები : *ფილიპ ლიჩი და ბილ ბოურინგი*, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის ადვოკატები, რომელიც ლონდონში მდებარეობს. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმმადგენელი იუსტიციის სამინისტროდან – *ბ-ნი დავით თომაძე*.

3. 2007 წლის 15 ივნისს, მეორე სექციის თავმჯდომარემ მიიღო გადაწყვეტილება კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიის საქართველოს მთავრობისთვის სეთეობინების თაობაზე. სასამართლომ ასევე გადაწყვიტა საჩივრის დასაშვებობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვა.

5. როგორც მომჩივნებმა, ისე მთავრობამ სასამართლოში წარადგინეს წერილობითი განმარტებები (სასამართლოს რეგლამენტის 54-ე (A) მუხლი)

ფაქტები

1. საქმის გარემოებები

5. მომჩივანი დაიბადა 1955 წელს და ცხოვრობს ბათუმში.

6. მხარეთა მიერ წარმოდგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები შემდეგში მდგომარეობს :

1. მომჩივნის ვაჟის გარდაცვალების გამოძიება

7. 2005 წლის 2 ივნისს, მომჩივნის ვაჟს – ზურაბ ცინცაბაძეს, დაბადებულს 1975 წელს, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა დანაშაულის გამო, კერძოდ, მან წინააღმდეგობა გაუწია პოლიციის ოფიცრებს, რომლებიც ცდილობდნენ ის შეეჩერებინათ და არ მიეცათ დანაშაულის ჩადენის საშუალება მისი ყოფილი მეუღლის – მაკას სახლში (ძალადობა და სხვისი საკუთრების დაზიანება). მას შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. როდესაც სასამართლოს განაჩენი ძალაში შევიდა, 2005 წლის 6 ივნისს მომჩივნის ვაჟი, რუსთავის №1 საპყრობილიდან გადაყვანილ იქნა ხონის №9 საპყრობილეში („ხონის ციხე“), რომელიც მდებარეობს დას. საქართველოში. მომჩივნის თანახმად, იმ დროისათვის მისი ვაჟის ჯანმრთელობის მდგომარეობა – როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური, – იყო კარგი.

8. 2005 წლის 30 სექტემბერს მომჩივნის ვაჟი ჩამომხრჩვალ იპოვეს ციხის საკუჭნაოში.

9. იმავე დღეს, ა.ლ-იანმა - ხონის ციხის უფროსმა, წერილობით აცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასავლეთ საქართველოს საგამომიებო დეპარტამენტის უფროსს („სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტი“), რომლის უწყების დაქვემდებარებაშიც იყო საპატიმრო დაწესებულებები, ასევე საქართველოს გენერალურ პროკურატურას, უწყებას რომელსაც საქმესთან კავშირი არ აქვს და რომელიც კურიერებს საგამომიებო პროცედურებს იუსტიციის სამინისტროში, რომ 2005 წლის 30 სექტემბერს, ცინცაბაძემ თვითმკვლელობა ჩაიდინა და თავი ციხის საკუჭნაოში ჩამოიხრჩო საღამოს 7-დან 8 საათამდე.

10. 2005 წლის 1 ოქტომბერს, 00:15-დან 01:40-მდე, სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის გამომძიებელმა („გამომძიებელი“) შემთხვევის ადგილი გამოიკვლია. ამ პროცედურაში მონაწილეობა მიიღო ხონის ციხის უფროსის ორმა მოადგილემ. გამომძიებელმა აღნიშნა, რომ ხსენებული საკუჭნაო იყო იზოლირებული ოთახი, რომელიც მდებარეობდა პატიმრების საკნებისა და ადმინისტრაციული შენობის სიახლოვეს და რომ ამ საკუჭნაოში ინახებოდა პატიმართა ნივთები. მასში შეღწევა შესაძლებელი იყო რკინის კარის გავლით, რომელსაც დაზიანებული საკეტი ჰქონდა. შენობის წინა მხარეს, კედელში იყო ორი ფანჯარა, რომლებიც ნახევრად მინით ხოლო

ნახევრად კი პლასტმასით იყო დაფარული. თავად საკუჭნაოს ჭერის სიმაღლე 2.20 სმ იყო. ფანჯარა შიგნიდან იკეტებოდა. ადგილზე გამოძიებისათვის საინტერესო ნივთები არ ყოფილა აღმოჩენილი.

11. ციხის უფროსის ერთ-ერთმა მოადგილემ განმარტა, რომ მან თოვზე ჩამოკიდებული ზურაბ ცინცაბაძე აღმოაჩინა და ის თოვი გამოძიებელს გადასცა. ციხის უფროსის მოადგილემ აგრეთვე საკუთარი ოფისიდან მოიტანა ერთი წყვილი ფეხსაცმელი და განაცხადა, რომ ეს ფეხსაცმელი აღმოჩენილი იყო გარდაცვლილზე, შემთხვევის ადგილას. ფეხსაცმელი და თოვი დაილუქა გამოძიებლის მიერ. ციხის უფროსის მოადგილემ განმარტა, რომ მან აღმოაჩინა 2 ხის სკამი გარდაცვლილის ფეხების ქვეშ. მან ეს სკამები ოფისიდან გამოიტანა და გამოძიებელს გადასცა, რომელსაც ისინი არ დაუღუქავს. ციხის უფროსის მოადგილემ ასევე განმარტა, რომ გარდაცვლილის ჯიბეებში მან იპოვა სიგარეტის კოლოფი, სანთებელა და ტკვილგამაყუჩებელი აბი. ყველა ნივთი დაილუქა გამოძიებლის მიერ.

12. გამოძიებელმა, ციხის თერაპევტთან ერთად, თერაპევტის კაბინეტში გვამის ვიზუალური დათვალიერება მოახდინა. გვამს კისერზე აღენიშნებოდა ჩამოხრჩობის კვალი და ძველი ჭრილობებისგან დარჩენილი ნაიარევები. სხეულზე სხვა დაზიანება აღმოჩენილი არ ყოფილა. გამოძიებელმა ოქმში ყოველგვარი დამატებითი ახსნა-განმარტების გარეშე მიუთითა, რომ არსებობდა მტკიცებულებათა დაზიანების რეალური რისკი და რომ ზურაბ ცინცაბაძის გვამი უნდა გადატანილიყო სასამართლო ექსპერტიზისათვის შესაფერის ადგილას.

13. იმავე დღეს დაკითხეს ზ.ლ.-იანი, ხონის ციხის პატიმარი. მან განმარტა, რომ 2005 წლის 30 სექტემბერს, დაახლოებით საღამოს 8 საათზე, ის საკუჭნაოს ახლოს შეხვდა ტ.კ.-აძეს, იმავე ციხის პატიმარს. მას სურდა საკუჭნაოდან მაისურის გამოტანა და ტ.კ.-აძისათვის გადაცემა, მაგრამ ნახეს, რომ საწყობის შენობა შიგნიდან იყო ჩაკეტილი. ზ.ლ.-იანმა ფანჯარაში შეიხედა და შიგნით ვიღაც დაინახა. იგი ოთახში იმავე ფანჯრიდან შევიდა და როდესაც შიგნით აღმოჩნდა, თოვზე ჩამოკიდებული ადამიანი აღმოაჩინა, რომელიც „თავის მოკვლას ცდილობდა“, თუმცა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მან ფეხით გამოამტვრია კარები და შეუშვა ტ.კ.-აძე. მათ პატიმარი თოვიდან ჩამოხსნეს. ზ.ლ.-იანმა საშველად მოუხმო ციხის თანამშრომლებს, რომლებიც საკუჭნაოს ახლოს იყვნენ. მან განაცხადა, რომ სასწრაფო რამოდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა, თუმცა სათანადო სამედიცინო დახმარების მიუხედავად, მომჩივნის ვაჟის გადარჩენა ვერ მოხერხდა. ზ.ლ.-იანმა განაცხადა, რომ ის სახეზე იცნობდა გარდაცვლილს და მასთან კონფლიქტი არასოდეს ჰქონია. მან გარდაცვლილი დაახასიათა როგორც მშვიდი პიროვნება. ზ.ლ.-იანმა კატეგორიულად უარყო რომელიმე პატიმრის მხრიდან გარდაცვლილზე რაიმე სახის ზეწოლის შესაძლებლობა. მისი განცხადების თანახმად, ციხეში არავის არ სურდა მისი სიკვდილი.

14. ამის შემდგომ, დაუყოვნებლივ დაკითხულმა ტ.კ.-აძე ზ.ლ.-იანის ჩვენება სიტყვასიტყვით დაადასტურა.

15. 2005 წლის 1-ლ ოქტომბერს ციხის თერაპევტმა ჩვენება მისცა გამოძიებელს. ჩვენებაში მან განაცხადა, რომ 2005 წლის 30 სექტემბერს, საღამოს 7:30-

დან 8 საათამდე მასთან მივიდა ციხის თანამშრომელი და აცნობა თოკზე დაკიდებული პატიმრის შესახებ. როდესაც ის შემთხვევის ადგილზე მივიდა, გვამი უკვე მიწაზე იყო მოთავსებული. მან გარდაცვლილს კისრიდან თოკი მოხსნა და მის გონზე მოყვანას შეეცადა, რაც წარუმატებლად დასრულდა. ამის შემდეგ, გვამი გადაიტანეს მის ოთახში, სადაც მან მისი რეანიმაცია სცადა, თუმცა კვლავ უშედეგოდ. მან განაცხადა, რომ ბიოლოგიური სიკვდილი უკვე დამდგარი იყო, თუმცა სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა მაინც გამოიძახა.

16. 2005 წლის 1-დან 3 ოქტომბრამდე, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული უწყების - კრიმინალისტიკის ეროვნული ბიუროს („კებ“) ქუთაისის ოფისის ექსპერტის მიერ ჩატარდა გამომძიებლის მიერ დანიშნული სასამართლო ექსპერტიზა. დასკვნაში („კებ-ის“ გვამის გაკვეთის დასკვნა“) სახელმწიფო ექსპერტმა დააფიქსირა სიკვდილის შემდგომი ჩალურჯებები სხეულის გვერდებზე, რომელიც ზეწოლის შედეგად გაქრა, ასევე მცირე ზომის სისხლჩაქცევები კისრის გარშემო, ჩამოხრჩობის კვალის გასწვრივ და აგრეთვე ტვინის შემუპება. ძვლები, მათ შორის, კისრის ძვალი და თავის ქალა არ იყო დაზიანებული. შემოწმდა და გაიკვეთა ყველა შინაგანი ორგანო. გამოკვლევის შედეგად, ექსპერტმა დაასკვნა, რომ სიკვდილი მექანიკური ასფიქსიის შედეგად დადგა, რაც თოკზე დაკიდებამ გამოიწვია. ხრჩობის შედეგად მიღებული დაზიანებების გარდა, კისრის არეში სხვა დაზიანებები ნაპოვნი არ ყოფილა.

17. 2005 წლის 4 ოქტომბერს დაიკითხა მომჩივნის ყოფილი მეუღლე - გარდაცვლილის მამა. მან განაცხადა, რომ 2005 წლის 30 სექტემბერს როგორც კი თავისი შვილის გარდაცვალების შესახებ შეატყობინეს, ის მაშინვე წავიდა ხონის ციხეში, სადაც მას ციხის უფროსი შეხვდა. ციხის უფროსმა ის დაარწმუნა, რომ მისმა შვილმა თავი მოიკლა, რისთვისაც გამოიყენა ზეწრისაგან დამზადებული თოკი და რომ მისი ვაჟი არავის არ მოუკლავს. მისი შეკითხვის პასუხად, ხომ არ აიძულა ვინმემ მის ვაჟს თვითმკვლელობის ჩადენა, ციხის უფროსმა უპასუხა „არა“ და განაცხადა, რომ „*მისმა ვაჟმა მოიკლა თავი მას შემდეგ რაც გაიგო, რომ მისი ცოლი თურქეთში მიდიოდა*“.

18. ამის შემდეგ, ციხის უფროსმა მომჩივნის ყოფილი მეუღლე გააგზავნა ქუთაისის პროზექტურაში, სადაც მისი ვაჟის გვამი იქნა გადატანილი. როდესაც იქ მივიდა, მომჩივნის ყოფილმა მეუღლემ აღმოაჩინა, რომ სასამართლო ექსპერტიზა უკვე ჩატარებული იყო და მან ვაჟის სხეული გადაასვენა სახლში, ბათუმში. სახლში, მომჩივანმა და მისმა ყოფილმე მეუღლემ შეამჩნიეს, რომ მათ ვაჟს არ ეტყობოდა, რომ მან თვითმკვლელობა ჩაიდინა. გარდაცვლილის თავის ქალის მარცხენა მხარე ჩამსხვრეული იყო და რადგანაც ამ ადგილას თმა არ იყო გაპარსული, მათ დაასკვნეს, რომ ეს დაზიანება არ იყო მიყენებული სიკვდილის შემდგომ ჩატარებული ექსპერტიზის დროს. შეხებით ისინჯებოდა თავის ფორმის დეფორმაცია და აღენიშნებოდა ამობერილობები/კოპები, კისერზე აღენიშნებოდა სისხლჩაქცევა, ყბის ნაწილი გასიებული იყო და ეტყობოდა მოტეხილობა, აღენიშნებოდა სისხლჩაქცევა, კისრის ძვალთან, რომელიც ასევე მოტეხილი უნდა ყოფილიყო. მარცხენა მკლავი მთლიანად დაფარული იყო სისხლჩაქცევებით; ზურგზე, თირკმლის მიდამოებსა და

ხელებზე აღენიშნებოდა მკაფიო სისხლჩაქცევები. მკაფიო სისხლჩაქცევები ჰქონდა აგრეთვე სათესლე ჯირკვლების გარშემო. გარდაცვლილის მამამ შეამჩნია, რომ დალურჯებები მარცხენა მკლავსა და ხელებზე დიაგონალური ხასიათისა იყო. მისი აზრით, ცემის დროს, მისი შვილი სახის დაცვას ცდილობდა და სახეზე ხელებს იფარებდა. მხოლოდ სახე იყო დაზიანებების გარეშე.

19. 2005 წლის 4 ოქტომბერს შემდგარი გასაუბრების ბოლოს, მომჩივნის ყოფილმა მეუღლემ გამომძიებელს სთხოვა მისი ვაჟის გვამის დამატებითი და ობიექტური ექსპერტიზის ჩატარება.

20. 2005 წლის 5 ოქტომბერს გამართული დაკითხვის დროს ხონის ციხის უფროსმა ა.ლ.-იანმა განაცხადა, რომ 2005 წლის 30 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, ჩვეული საღამოს ინსპექტირება შედგა. ბ.ჯ.-მემ, ოფიცერმა, რომელმაც ჩაატარა ინსპექტირება, მოახსენა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო და სამოცდაცხრამეტივე პატიმარი ადგილზე იმყოფებოდა. დაახლოებით საღამოს 7:30 სთ-ზე, ინსპექციის უფროსმა ოფიცერმა ციხის უფროსს ერთ-ერთი პატიმრის შეუძლოდ ყოფნის შესახებ მოახსენა. ციხის უფროსი საკუჭნაოსკენ გაემართა ციხის ორ ექიმთან ერთად და იქ, იატაკზე მწოლიარე მომჩივნის ვაჟი აღმოაჩინა. ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ამის შემდეგ ზურაბ ცინცაბაძე ციხის სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს, თუმცა მისი გონზე მოყვანისა და გამოცოცხლების მცდელობები უშედეგოდ დასრულდა. ვიდრე სასწრაფო დახმარების მანქანა მოვიდოდა, ზურაბ ცინცაბაძე უკვე გარდაცვლილი იყო. მის სამედიცინო ანკეტაში შეტანილი იქნა საჭირო ინფორმაცია. ექიმებმა სხეული შეამოწმეს და დასკვნა დაწერეს. ციხის უფროსმა ტელეფონით და აგრეთვე წერილობით საქმის კურსში ჩააყენა შესაბამისი უწყებები. ერთი საათის შემდეგ შემთხვევის ადგილზე გამომძიებლები მოვიდნენ. ციხის უფროსმა განაცხადა, რომ მან პირადად, ტელეფონით აცნობა მომჩივნის ყოფილ მეუღლეს მისი ვაჟის თვითმკვლელობის შესახებ. ციხის უფროსის თანახმად, მამამ ეს ამბავი არ დაიჯერა, რადგან მისმა ვაჟმა ადრე უკვე მიმართა იმავე ხრიკს და ცუდად ყოფნა მოიმიზეზა იმისათვის, რომ მამა მიეყვანა ციხეში მის სანახავად.

21. ციხის უფროსმა ასევე განაცხადა, რომ ზურაბ ცინცაბაძე წარსულში ბათუმის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობდა. მან ასევე განაცხადა, რომ გარდაცვლილს საპატიმროში მოთავსების შემდეგ მნახველი არ ჰყოლია, რასაც ის ძალიან განიცდიდა. ციხის უფროსის თანახმად, ზურაბ ცინცაბაძე წუხდა იმის გამოც, რომ მისი მეუღლე თურქეთში იყო წასული და მისი მშობლები კი გაცილებულები იყვნენ. ციხის უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ ის იცნობდა პატიმარს, ო.ე.-იანს, რომელთან ერთადაც მომჩივნის ვაჟი ადრე იხდიდა სასჯელს ციხეში და რომელსაც შეეძლო მისი სიტყვების დადასტურება.

22. 2005 წლის 6 ოქტომბერს ცალკე დაკითხა ო.ე.-იანი, რომელმაც დაადასტურა, რომ კარგად იცნობდა მომჩივნის ვაჟს და რომ ეს უკანასკნელი ციხეში არასოდეს ყოფილა კონფლიქტში ვინმესთან და რომ წარსულში მას თვითმკვლელობის რამდენიმე მცდელობა ჰქონდა, კერძოდ მუცლისა და კისრის არეში ჭრილობების მიყენების გზით; მის სხეულზე არსებობდა აღნიშნული ჭრილობების ნიშნები.

23. 2005 წლის ოქტომბრით დათარიღებული ცნობის თანახმად, რომელიც საქმის მასალებში დევს, მომჩივნის ვაჟი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფსიქონევროლოგიური კლინიკის პაციენტთა სიაში არ ირიცხებოდა.

24. 2006 წლის 6 ოქტომბერს დაიკითხა ციხის ოფიცერი ბ.ჯ.-ძე, რომელიც ნახსენები იყო ციხის უფროსის ჩვენებაში (§20). მან სიტყვასიტყვით დაადასტურა ციხის უფროსის ჩვენება, რომელიც შეეხებოდა 2005 წლის 30 სექტემბერს მომჩივნის ვაჟის გვამის აღმოჩენის ფაქტს, მომჩივნის ვაჟის პიროვნულ მახასიათებლებსა და ქცევას, ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გარდაცვლილი სასოწარკვეთილ მდგომარეობაში იმყოფებოდა მისი ოჯახური მდგომარეობის გამო, ხოლო ციხეში მას არავისთან არ ჰქონია კონფლიქტი.

25. 2005 წლის 6 ოქტომბერს დაიკითხა ხონის ციხის პატიმარი, რომელიც ამ დოკუმენტში მოხსენიებული იქნება როგორც „X“, რომელმაც განაცხადა, რომ კარგად იცნობდა მომჩივნის ვაჟს, რადგან ისინი ბათუმში ერთ უბანში დაიბადნენ და გაიზარდნენ და მათი მშობლებიც ამ დრომდე მეგობრობენ. მან აღწერა თუ რა ვითარებაში შეიტყო მან და ციხის სხვა პატიმრებმა ჩამოხრჩობის ფაქტის შესახებ, რა დროსაც საეჭვო არაფერი შეუმჩნევიათ. „X“-მა, სხვების მსგავსად, განაცხადა, რომ მომჩივნის ვაჟს ციხეში კონფლიქტი არავისთან არ ჰქონია; მას არავინ ურევავდა და არც სანახავად მოდიოდა ვინმე, რომ მას ძალზე აწუხებდა პირადი პრობლემები ყოფილ მეუღლესთან დაკავშირებით და ჰქონდა მრავალი ნაიარევი სხეულის სხვადასხვა ნაწილზე.

26. 2005 წლის 6 ოქტომბერს დაიკითხა კიდევ ერთი პატიმარი, ა.ჯ.-ძე, რომელმაც განაცხადა, რომ მომჩივნის ვაჟს იცნობდა ოთხი თუ ხუთი თვის მანძილზე და რომ ეს უკანასკნელი იყო ზრდილობიანი, მშვიდი და წყნარი პიროვნება, რომელსაც წარსულში, ციხეში ყოფნისას არასოდეს უცდია თავის მოკვლა. მან განაცხადა, რომ მომჩივნის ვაჟს არავინ ნახულობდა და არც ტელეფონზე ურევავდა ვინმე. ეძინა რა გვერდით საწოლზე, მას შემჩნეული ჰქონდა ძველი ნაიარევები მომჩივნის ვაჟის მაჯებზე.

27. იმავე დღეს ასევე დაიკითხა ხონის ციხის მთავარი ექიმი. მან დაადასტურა თერაპევტის ჩვენება და დაამატა, რომ მან მომჩივნის ვაჟი ციხეში მოყვანის დღეს გასინჯა. მან ასევე შემთხვევით შეამჩნია, რომ პატიმარს ჰქონდა ნაიარევები მუცელზე და ერთი ნაჭრილობევი კისრის მარჯვენა მხარეს. ექიმმა კატეგორიულად განაცხადა, რომ პატიმრას სხეულზე სხვა დაზიანებები არ აღენიშნებოდა. სხეულზე არსებული ნაიარევების ხსენებისას, მომჩივნის ვაჟმა თითქოს მას უთხრა, რომ თავის მოკვლა სცადა რუსთავის №1 საპრობილემო ყოფნის დროს და რომ მადლიერი იყო იმის თაობაზე, რომ ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს. ექიმმა განაცხადა, რომ მომჩივნის ვაჟი, რომელიც გულჩათხრობილი ადამიანი იყო, ხშირად მოდიოდა და გულს უშლიდა მას. ის მშვიდი და სასიამოვნო ადამიანი იყო. ის ეუბნებოდა, რომ ძალზე ნაწყენი იყო, რადგან მისი მშობლები და მეუღლე არ მოდიოდნენ მის სანახავად. ექიმს სჯეროდა, რომ ზურაბ ცინცაბაძემ თვითმკვლელობა ჩაიდინა, რადგანაც ხედავდა, რომ მას არასოდეს ჰქონია კონფლიქტი ციხეში ვინმესთან და არც აზარტული თამაშების მოყვარული იყო.

28. 2005 წლის 7 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში, სასწრაფო დახმარების სამსახურმა, რომელიც აღნიშნულ სიტუაციაში მონაწილეობდა, დაადასტურა, რომ 2010 წლის 30 სექტემბერს, საღამოს 8:03 სთ-ზე მათთან სასწრაფო გამოძახება შევიდა ხონის ციხიდან.

29. 2005 წლის 7 ოქტომბერს დაიკითხა მომჩივანი. მან განაცხადა, რომ იგი ურეკავდა შვილს, როდესაც შეეძლო. ერთ-ერთი საუბრის დროს ვაჟმა მას სთხოვა 50 ლარის გაგზავნა (ქართული ლარი – დაახ. 0.42 ევრო), საიდანაც 10 ლარი იყო სიგარეტის ფული, ხოლო დანარჩენი უნდა შეეტანა „ობშიაკში“ („ობშიაკი“ – პატიმრების უკანონო, საერთო ფონდი; იხ. §§ 61 და 68). იმის გამო, რომ მომჩივანი იმ პერიოდში ავად იყო, მის ვაჟს აღნიშნული თანხა მისმა დამ გადაურიცხა. ამის შემდეგ, მისმა შვილმა რამდენჯერმე დაურეკა დეიდას და სთხოვა ფული, 30-დან 40 ლარამდე. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, მან დეიდას უთხრა, რომ თუ 10 ლარს არ მიიღებდა, თავს მოიკლავდა. დეიდამ მას აღნიშნული თანხა გაუგზავნა. ჩვენების თანახმად, დაკითხვა შეწყდა იმის გამო, რომ მომჩივანი საგამომიებო სამსახურს მიკერძოებულობაში სდებდა ბრალს. მან უარი განაცხადა ჩვენებაზე ხელის მოწერაზე.

30. 2005 წლის 8 ოქტომბერს, მომჩივნისა და მისი ყოფილი მეუღლის თხოვნით, ჩატარდა დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტიზა, რომელსაც მათი ორი წარმომადგენელი და სახალხო დამცველის სამსახურის წარმომადგენელი ესწრებოდა. დასკვნის თანახმად (*„ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა“*), გარდაცვლილის კისერზე არსებული ჩამოხრჩობის კვალის ახლოს ექსპერტებმა აღმოაჩინეს დაზიანება 4.5 სმ. 3 სმ.-ზე, რომელიც მიყენებული იყო ბლავგი საგნის ზემოქმედებით. დაზიანება აღწერილი იყო როგორც უმნიშვნელო და სიცოცხლისათვის არასახიფათო. სხეულზე სხვა დაზიანებები არ იყო აღმოჩენილი. სხვადასხვა ორგანოების, მათ შორის ტვინის, გულისა და ფილტვების ჰისტოლოგიური გამოკვლევის შემდეგ, ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ მომჩივნის ვაჟის სიკვდილის მიზეზი იყო ჩამოხრჩობით გამოწვეული მექანიკური ასფიქსია.

31. 2005 წლის 13 ოქტომბერს გამოიძახეს კრიმინალისტიკის სფეროს ექსპერტი, რომელსაც უნდა გამოეკვლია ზურაბ ცინცაბაძის ტანსაცმელი და დაედგინა თოკად გამოყენებულ ზეწარზე გაკეთებული კვანძების ტიპი.

32. 2005 წლის 29 ოქტომბერს სისხლის სამართლის საქმე აღიძრა იმ უცნობი პირისა თუ პირების წინააღმდეგ, ვინც ზურაბ ცინცაბაძე თვითმკვლელობამდე მიიყვანა (სსკ-ის 115-ე მუხლი). იმავე დღეს მომჩივანი დაიკითხა დაზარალებულის სახით. მან კატეგორიულად განაცხადა, რომ მისი შვილი გაწონასწორებული პიროვნება იყო, რომელსაც ფსიქოლოგიური პრობლემები არ ჰქონდა და საკუთარი თავი ძალიან უყვარდა. მისი დაკავების შემდეგ, ბოლო ორთვენახევრის განმავლობაში, ის მას ტელეფონით რამდენჯერმე ესაუბრა და ერთი საუბრის დროს მან 50 ლარის გამოგზავნა სთხოვა (§29). მომჩივანმა განმარტა, რომ პატიმარმა „X“ (§25), მამამისის მეშვეობით, ტელეფონით შეატყობინა მის ყოფილ მეუღლეს მათი შვილის გარდაცვალების შესახებ. მომჩივანმა აღნიშნა, რომ როდესაც მან შვილის გვამი დაათვალიერა, მან ზემოხსენებული დაზიანებები აღმოაჩინა (იხ. ყოფილი

ქმრის განცხადება - §18 ზემოთ). ის აცხადებდა, რომ მისი შვილი ჯერ მოკლეს და შემდეგ ჩამოახრჩვეს, რათა შეენიღბათ მკვლელობა. მან მოითხოვა, რომ ამ დანაშაულს მკვლელობის (სსკ-ის 108-ე მუხლი) და არა თვითმკვლელობამდე მიყვანის კვალიფიკაცია მისცემოდა. მომჩივანმა მოითხოვა, დადგენილიყო მიზეზები თუ რატომ არ შეატყობინა ციხის ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ მშობლებს შვილის გარდაცვალების შესახებ და რატომ დაუშვეს, რომ ეს პატიმარს გაეკეთებინა. აგრეთვე, რატომ არ შეატყობინეს და არ მიიწვიეს შვილის გვამის ექსპერტიზაზე დასასწრებად. მან ასევე მოითხოვა იმ გარემოების განმარტება თუ როგორ შეეძლო მის შვილს საკუჭნაოში შესვლა, რადგანაც, ჩვეულებრივ შემთხვევაში პატიმრებს ჩაკეტილ შენობაში შესვლა ბადრაგის გარეშე არ შეუძლიათ. მომჩივანმა ასევე აღნიშნა, რომ მან დაიქირავა ნ.ა.-ძე, ადგილობრივი ადვოკატი, რათა ეს უკანასკნელი მას გამოძიებაში დახმარებოდა.

33. 2005 წლის 2 ნოემბერს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორმა („საოლქო პროკურორი“) წერილობითი მითითება გაუგზავნა გამომძიებელს, სადაც მოცემული იყო, რომ საქმესთან დაკავშირებით განჩინების გამოსატანად შემდეგი ნაბიჯები უნდა განხორციელებულიყო:

- დაცვის თანამშრომლის დადგენა და დაკითხვა, რომელიც 2005 წლის 30 სექტემბრის დამის მორიგეობისას ზედამხედველობდა ხონის საპრობილის საკუჭნაოდან რამდენიმე მეტრის მანძილზე შიდა ეზოს ჭიშკარს და ამგვარად, შეეძლო ჩვენება მიეცა თუ როდის და ვისთან ერთად შევიდა მომჩივნის შვილი საკუჭნაოში, როდის შევიდნენ შიგნით თ.კ.-ამე და ზ.ლ.-იანი და როდის გამოვიდნენ;

- სხვა პატიმრების დაკითხვა, რომლებსაც სავარაუდოდ რაიმე ისეთი ინფორმაციის მიწოდება შეეძლოთ, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა თვითმკვლელობის შესაძლებლობას და ამის ნაცვლად რაიმე მოსაზრებას შექმნიდა, რომ მომჩივნის შვილი შეიძლება თვითმკვლელობამდე მიეყვანათ ან გამხდარიყო სხვაგვარად ძალადობის ობიექტი;

- მშობლების მიერ აღნიშნული დაზიანებების არსებობის შესახებ სახელმწიფოს მიერ დანიშნული და დამოუკიდებელი ექსპერტების დაკითხვა, რომლებმაც მომჩივნის შვილის გვამის შესაბამისი ექსპერტიზა განხორციელეს (§§ 16 და 30).

34. 2005 წლის 10 ნოემბრის წერილით, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ სამინისტროს საგამომძიებო დეპარტამენტს გადასცა ხელით დაწერილი წერილი, რომელიც ბიუროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა ოთახში იპოვა, სადაც 2005 წლის 1-3 ოქტომბერს ექსპერტიზა მიმდინარეობდა. ამ წერილში ავტორი ადრესატს, სახელად ნინოს, ეუბნებოდა, რომ ის ამ ქმედებას ჩადიოდა სიყვარულის დასამტკიცებლად, რაშიც მას (ნინოს) ყოველთვის ეჭვი ეპარებოდა. ავტორი ჰკიცხავდა ქალს მისი მიტოვებისთვის სწორედ მაშინ, როცა იგი მას ყველაზე მეტად სჭირდებოდა. ის მას (ნინოს) ბრალს სდებდა, რომ ატყუებდა, თითქოს რუსეთში წავიდა, მაშინ როდესაც სინამდვილეში, ის თურქეთში გაემგზავრა. ის მას სიკვდილის შემდეგ ბედნიერებას უსურვებდა. წერილის ბოლოს განცმხადებლის შვილის სახელი ეწერა, ასევე მოცემული იყო თარიღი: 2005 წლის 28 ოქტომბერი.

35. რაც შეეხება სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2005 წლის 10 ნოემბრის წერილის შინაარსს, ის მოკლედ ატყობინებდა სამინისტროს საგამომძიებო

დეპარტამენტს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებშიც 2005 წლის 28 ოქტომბრით დათარიღებული წერილი იპოვეს პროზექტურის მაცივარში და აღნიშნული იყო, რომ ვინაიდან წერილი მომჩივნის შვილმა დაწერა, ის შესაბამის საქმეში ჩასადებად იქნა გადაცემული.

36. დაკითხვისას, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს თანამშრომელმა, 2005 წლის 21 ნოემბერს (§34) განაცხადა, რომ თვეში ორჯერ ან სამჯერ მას მაცივრის ოთახი უნდა დაესუფთავებინა, სადაც გვამები ინახებოდა. 2005 წლის 8 ნოემბერს, ჩვეულებრივი დასუფთავების დროს, მან კუთხეში პოლიეთილენის პარკში გახვეული, 2005 წლის 28 ოქტომბრით დათარიღებული წერილი ოპოვა. მისთვის გამომძიებელს სხვა შესაბამისი შეკითხვები არ დაუსვამს. როგორც საქმის მასალებიდან გამოირკვა, წერილთან დაკავშირებით არც სხვა რაიმე საგამომძიებო ზომები ყოფილა მიღებული.

37. იმავე დღეს, 2005 წლის 21 ნოემბერს, დაკითხულ იქნა სახელმწიფო ექსპერტი, რომელმაც 2005 წლის 1-3 ოქტომბერს ზურაბ ცინცაბაძის გვამის ექსპერტიზა ჩაატარა (§16). ექსპერტმა დაადასტურა, რომ დახრჩობის ნიშნის გარდა, რომელიც კისრის შუა ნაწილში აღენიშნებოდა და რაც, რასაკვირველია, ჩამოხრჩობით იქნებოდა გამოწვეული, მას სხეულზე სხვა დაზიანება არ აღმოუჩენია. რაც შეეხება დამოუკიდებელ ექსპერტებს, რომლებმაც გვამის ალტერნატიული ექსპერტიზა ჩაატარეს, საქმის მასალების თანახმად, საოლქო პროკურორის მითითებების საწინააღმდეგოდ, გამომძიებელს ისინი არ დაუკითხავს, (§§ 30 და 33).

38. მეორე დღეს, 2005 წლის 22 ნოემბერს, საოლქო პროკურორმა საქმე დახურა მტკიცებულებათა ნაკლებობის გამო. მან დაასკვნა, რომ მომჩივნის ვაჟის თვითმკვლელობა არ იყო იმგვარი მუქარის ან ფიზიკური ზეწოლის შედეგი, რომელიც მას თვითმკვლელობამდე მიიყვანდა. ამასთანავე, 2005 წლის 28 ოქტომბრით დათარიღებული წერილი, რომელიც „გარდაცვლილის ტანსაცმელში“ იპოვეს, ადასტურებდა იმას, რომ მან თავი მოიკლა სიყვარულის გამო 2005 წლის 30 სექტემბერს, საღამოს 8:30 საათზე. ფაქტი, რომ წერილის ბოლოს მითითებული თარიღი პატიმრის გარდაცვალების დღის შემდეგ იყო, აისხნა იმით, რომ მას წერილის დაწერისას თვეები აერია. რაც შეეხება დაზიანებებს, რომლებიც მომჩივანმა შვილის სხეულზე აღმოაჩინა, პროკურორმა მითითება გააკეთა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გვამის გაკვეთის დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, ჩამოხრჩობის შედეგად მიყენებული დახრჩობის ნიშნის გარდა, სხვა არანაირი დაზიანება არ აღინიშნებოდა. გამომძიებელმა მიიჩნია, რომ მომჩივნის მიერ აღნიშნული ჰემატომები სიკვდილის შემდგომ გაჩენილი გვამური ლაქები იყო, ხოლო სხეულზე არსებული სხვადასხვა ლაქები კი იყო ძველი, როგორც ეს აღნიშნა ციხის ექიმმა, იმ დღეს, როდესაც მომჩივნის შვილი ციხეში მიიყვანეს. სხვადასხვა ჩვენებებზე დაყრდნობით, მათ შორის პატიმარ „X“-ის ჩვენების ჩათვლით, პროკურორმა დაასკვნა, რომ არანაირ ქმედებას არ ჰქონია ადგილი, რაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს შეადგენდა (სსსკ-ის 28-ე (§1) მუხლი).

39. მომჩივანმა აღნიშნული გადაწყვეტილება ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა და ამტკიცებდა, რომ ოფიციალურმა პირებმა მისი შვილის სიკვდილი თავიდანვე თვითმკვლელობად დააკვალიფიცირეს; რომ ციხის ადმინისტრაციამ მტკიცებულება გაანადგურა, გუბერნატორის მოადგილეს მოტანილი ჰქონდა სკამები, თოკი და მისი შვილის ფეხსაცმელები თავისი კაბინეტიდან; რომ თითის ანაბეჭდები არ იქნა აღებული არც სკამებიდან, არც ბოქლომიდან, არც კარიდან და არც საკუჭნაოს საკეტიდან, რათა მისი შვილის ანაბეჭდებთან შეედარებინათ; რომ არ მიმდინარეობდა გამოძიება იმასთან დაკავშირებით, ახდენდნენ თუ არა დაცვის თანამშრომლები საკუჭნაოზე მეთვალყურეობას და ვის ებარა გასაღებები; რომ არ შეფასებულა დაზიანება, რომელიც დამოუკიდებელმა ექსპერტმა აღმოაჩინა გარდაცვლილის ყელზე, ჩამოხრჩობით გამოწვეული ნიშნის გვერდით; რომ მხოლოდ 3 საგანი აღმოაჩინეს მისი შვილის ტანსაცმელში მისი სიკვდილისთანავე; რომ არ ჩატარებულა ხელნაწერის ექსპერტიზა 2005 წლის 28 ოქტომბრით დათარიღებულ წერილთან დაკავშირებით; საბოლოოდ, წარმოდგენელია იმის ფიქრი, რომ პატიმარს, რომელიც საათებსა და დღეებს ითვლიდა განთავისუფლებამდე, შეეშლებოდა ის თარიღი, რომელიც ნაპოვნ წერილშია მითითებული.

40. 2006 წლის 9 იანვარს, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის საჩივარი დაუსაბუთებლობის გამო იმ საფუძველით, რომ ყველა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედება ჩატარებულ იქნა და რომ მტკიცებულებათა ერთობლიობით გამორიცხული იყო დანაშაულის არსებობა. საქალაქო სასამართლომ მომჩივანს უსაყვედურა, რომ არ მიუთითა ალტერნატიული საგამოძიებო ზომები რომელთაც გამოძიებისთვის სხვა შედეგის მოტანა შეეძლო.

41. მომჩივანმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა და თავისი არგუმენტები ხელახლა წამოაყენა. მან დამატებით განაცხადა, რომ გვამები მაცივარში ყოველთვის შიშველ მდგომარეობაში თავსდებოდა, ამგვარად, გამორიცხული იყო ნებისმიერი შანსი, რომ 2005 წლის 28 ოქტომბრით დათარიღებული წერილი მისი შვილის ტანსაცმლიდან ამოვარდნილიყო და რომ პროკურორმა შეცდომა დაუშვა, როცა განაცხადა, რომ წერილი მისი შვილის ტანსაცმელში იპოვეს. მომჩივანმა აგრეთვე განაცხადა, რომ მისი წყაროების მიხედვით, მისი შვილი თანაპატიმრებმა მოკლეს რუსთავის №1 საპრობილემში მყოფი მისი ერთ-ერთი თანაპატიმრის ბრძანებით და მოითხოვა ამ საკითხის გამოძიება. მან ასევე აღნიშნა, რომ შეუძლებელი იყო 1.78 მეტრის სიმაღლის ადამიანისთვის, როგორც მისი შვილი იყო, თავი მოეკლა, როდესაც ჭერის სიმაღლე 2.20 მ., ხოლო სკამის სიმაღლე – 22 სმ. იყო. მომჩივანმა გააკრიტიკა ოფიციალური პირების უუნარობა, დაეცვათ ობიექტი. განცმხადებული აგრეთვე ასაჩივრებდა, რომ გამომძიებელმა შემთხვევის დათვალეირების ანგარიში მოამზადა ციხის უფროსის მოადგილის განცხადებების საფუძველზე, რომელმაც თავისი კაბინეტიდან ჯერ სკამები გამოიტანა, შემდეგ კი თოკი და ფეხსაცმელები, რათა „დაედასტურებინა“, რომ ფაქტობრივად თვითმკვლელობა მოხდა. მომჩივნის დაკვირვებით, სასწრაფო დახმარების ექიმების დაკითხვა არ მომხდარა.

42. 2006 წლის 16 იანვარს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, საბოლოო ინსტანციით, იმავე საფუძველით არ დააკმაყოფილა სარჩელი, რითაც ქვედა ინსტანციის სასამართლომ. როგორც გადაწყვეტილებაში გამოჩნდა, სააპელაციო განხილვის განმავლობაში, მომჩივნის საჩივრის საპასუხოდ, რომ არ განხორციელებულა ხელწერის ექსპერტიზა 2005 წლის 28 ოქტომბრით დათარიღებული წერილის მიმართ, საოლქო პროკურორმა, შესაბამის მტკიცებულებაზე მითითების ან დამატებითი დეტალების წარმოდგენის გარეშე, განაცხადა, რომ სადავო წერილის შედარება მოხდა და აღმოჩნდა, რომ ის ზურაბ ცინცაბაძის ხელწერის სხვა ნიმუშების მსგავსი იყო.

2. სისხლისსამართლებრივი წარმოება „X“-ს წინააღმდეგ, გამოძალვის ფაქტზე და სახალხო დამცველის მოკვლევა ბ-ნი ცინცაბაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით

43. წერილობით განმარტებაში, რომელიც მან თავის წარმომადგენლებს სასამართლოს წინაშე, 2006 წლის 13 ივლისს მისცა, მომჩივანმა აღნიშნა, რომ მისი ვაჟის დაკრძალვის შემდეგ, „X“-მა მის ყოფილ ქმარს ციხიდან დაურეკა და სთხოვა, რომ გადაეხადა ვალი 80 ლარის ოდენობით, რომელიც მისმა შვილმა „ობშიაკიდან“ ისესხა. მომჩივანმა განმარტა, რომ „ობშიაკი“ ეს ის თანხა იყო, რომელთა შეგროვებას პატიმრებს „მაყურებელი“ აიძულებდა, ადმინისტრაციის უსიტყვო თანხმობით. მან (მომჩივანმა) აღნიშნა, რომ ამ ფულს იღებდა როგორც „მაყურებელი“, ისე ადმინისტრაცია. მომჩივანმა აქედან გააკეთა დასკვნა, რომ მისი შვილის მიერ ტელეფონით მოთხოვნილი თანხებიც „ობშიაკისთვის“ იყო გამიზნული (§§ 29 და 32). მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი შვილი მოკლეს იმისათვის, რომ მან 80 ლარი არ გადაიხადა. მომჩივნის მიხედვით, იმის გამო, რომ ის ხელმოკლე იყო, სწორედ ნინო, მისი კარგი მეგობარი და, სავარაუდოდ, 2005 წლის 28 ოქტომბრით დათარიღებული წერილის ადრესატი, რეგულარულად უზრუნველნიდა მის შვილს 300-400 ლარს. ამის გათვალისწინებით მისთვის გასაოცარი იყო, რომ მის შვილს „ობშიაკიდან“ 80 ლარის სესხება დასჭირვებოდა.

44. 2005 წლის 13 დეკემბერს, მომჩივნის ყოფილმა ქმარმა მოითხოვა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ციხიდან პატიმარ „X“-ს მიერ მის მიმართ ფულის მოთხოვნის საფუძველზე და იმავე დღეს, ამ უკანასკნელის მიმართ დაიწყო გამოძიება გამოძალვის ბრალდებით. გამოძიება დაევალა იმავე გამოძიებლებს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტიდან (§9).

45. მომჩივნის ყოფილმა ქმარმა, რომელიც იმავე დღეს, დაზარალებულის სტატუსით დაიკითხა, დაადასტურა, რომ სწორედ „X“ იყო ის პირი, რომელმაც მამამისის მეშვეობით მას შვილის სიკვდილი შეატყობინა (§25). ამის შემდეგ, ის აღნიშნულ პატიმარს შეხვდა ციხეში, უფროსის კაბინეტში იმ დღეს, როდესაც ციხეში შვილის ცხედრის გამოსატანად მივიდა. უფროსის თანდასწრებით, „X“-მა მომჩივნის

ყოფილ ქმარს უთხრა, რომ მისმა შვილმა თავი „ქალის გულისთვის“ მოიკლა. იგრძნო რა, რომ ამ პატიმარს მისთვის კიდევ სხვა რამის თქმა უნდოდა, მომჩივნის ყოფილმა ქმარმა „X“ დერეფანში გაიყვანა. თუმცა, იმ პატიმრის დანახვისას, რომელიც „X“-მა მოიხსენია როგორც „მაყურებელი“, „X“ შეშინდა და აღრაფერი უთქვამს. მომჩივნის ყოფილმა ქმარმა განაცხადა, რომ „X“ მას გასვენებამდე ყოველდღე ურეკავდა იმის სათქმელად, რომ მას სხვა ციხეში გადასვლა დასჭირდებოდა იმისთვის, რომ ლაპარაკი შესძლებოდა. ერთ-ერთი ამგვარი სატელეფონო საუბრის დროს, პატიმარმა, რომელიც მინიშნებას აკეთებდა, რომ მან რაღაც საეჭვო იპოვა მისი შვილის სიკვდილთან დაკავშირებით, მომჩივნის ყოფილ ქმარს ურჩია, რომ ზეწოლა მოეხდინა ციხის უფროსზე. გასვენების შემდეგ, 2005 წლის 9 დეკემბერს, „X“-მა მას კიდევ დაურეკა და 80 ლარი მოითხოვა, რომელიც მის შვილს „ობშიაკისთვის“ ემართა და დაემუქრა, რომ მას მოკლავდა. 2005 წლის 12 დეკემბერს მან კვლავ დარეკა და მუქარაც გაიმეორა.

46. „X“-მა, რომელიც სხვა ციხეში იყო გადაყვანილი, რომელიც წინამდებარე გადაწყვეტილებაში მოხსენიებულია როგორც საპყრობილე „Y“, 2006 წლის 23 თებერვალს, ექვმიტანილის სტატუსით დაკითხვისას, უარყო ბრალდება და განმარტა, რომ მომჩივნის ყოფილმა ქმარმა მას ფული შესთავაზა საკუთარი სურვილით, გარდაცვლილის ხსოვნის ერთობლივად დაფასებისთვის. პატიმარმა დაადასტურა, რომ თავად იყო ის ადამიანი, ვინც პირველმა შეატყობინა მომჩივნის ყოფილ მეუღლეს შვილის გარდაცვალება. „X“-მა აგრეთვე დაადასტურა, რომ მას თავიდანვე ჰქონდა ეჭვები თვითმკვლელობის თეორიასთან დაკავშირებით და რომ მან აღნიშნული ეჭვები მომჩივანსა და მის ყოფილ ქმარს სატელეფონო საუბრის დროს გაუზიარა. თუმცა, აღნიშნული ეჭვები უბრალო სპეკულაციად დარჩა, რადგან მან ვერ მოახერხა რაიმე ხელჩასაჭიდი ფაქტის გამოვლენა მათ გასამყარებლად. „X“-მ ასევე აღნიშნა, რომ მომჩივანმა და მისმა ყოფილმა ქმარმა მას ბრალი გამოძალვაში დასდეს სამაგიეროს გადახდის მიზნით, რადგან მათ სჯეროდათ, რომ ის მათი შვილის გარდაცვალების შესახებ სიმართლეს მალავდა.

47. 2006 წლის 3 აპრილს სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტმა „X“ კიდევ ერთხელ დაკითხა, თუმცა ამჯერად ბრალდებულის სტატუსით. მან განმარტა, რომ ხონის საპყრობილეში პატიმრების მიმართ „ზედამხედველობა“ ხორციელდებოდა, განსაკუთრებით კი იმ კუთხით, რაც „ობშიაკში“ შესატან თანხას უკავშირდებოდა, მთავარი „მაყურებლის“, ვ.თ.-შვილის მიერ, რომელიც ადრე პოლიციელი იყო და სასჯელს მკვლელობისთვის იხდიდა. მომჩივნის შვილმა 80 ლარი ისესხა „ობშიაკიდან“, რითაც მეორე პატიმრისგან მობილური ტელეფონი „Ericsson T-10“ იყიდა. თუმცა, იმის გამო, რომ ვალის გადახდა ვერ შესძლო, მომჩივნის შვილი მუქარასა და შეურაცხყოფას იღებდა. ამგვარად, ის ადრე ორჯერ სცემეს ვ.თ.-შვილმა და ზ.ლ.-იანმა - ხონის საპყრობილის მეორე „მაყურებელმა“, ასევე ა.ბ.-იამ, რომელსაც მეტსახელად „დიზელას“ ემახდნენ. „X“-მა განაცხადა, რომ ის პირადად იყო პირველი ცემის მოწმე და ამ ფაქტის დადასტურება კიდევ ორ სხვა პატიმარს, გ.გ.-იანს და ვ.მ.-შვილს შეეძლოთ.

48. „X“-მა შემდგომში განაცხადა, რომ 2005 წლის 30 სექტემბერს მან დაინახა ვ.თ.-შვილი, ზ.ლ.-იანი და „დიზელა“, რომლებმაც მომჩივნის შვილი „კუტოკში“ (ადგილი საქმეების გასარჩევად და მოსაგვარებლად) შეიყვანეს. რამდენიმე წუთის შემდეგ მან დაინახა, რომ აღნიშნული პირები ოთახიდან გამოვიდნენ და მომჩივნის შვილს მოათრევდნენ, რომელიც გონდაკარგული იყო. მათ ის საპარიკმახეროს ფანჯარაში გადაათრიეს საკუჭნაოს მიმართულებით, სადაც, რამდენიმე წუთის შემდეგ, იმავე ზ.ლ.-იანმა, თ.კ.-აძესთან ერთად მომჩივნის შვილი ჩამომხრჩვალა „იპოვეს“ და ყვირილი დაიწყო. „X“-მ განაცხადა, რომ პატიმარმა გ.გ.-იანმაც ასევე დაინახა, თუ როგორ მიათრევდნენ მომჩივნის შვილს საკუჭნაოსკენ უგონო მდგომარეობაში. „X“-მა დეტალურად აღწერა, თუ რა მოხდა შემდეგ. მან განაცხადა, რომ როცა პროკურორები და ექსპერტი მოვიდნენ, გვამი ციხის ექიმის კაბინეტში იყო. იქ ასევე იმყოფებოდნენ ციხის უფროსი და პატიმრებიც.

49. პატიმარმა „X“-მ სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს განუმარტა, რომ მას უნდოდა რაღაც გაემხილა გარდაცვლილის მამისთვის, როცა ის მამამისთან ერთად მოვიდა ცხედრის წასაღებად 2005 წლის 1-1 ოქტომბერს, მაგრამ მას უკვე ამ დროისთვის ახლო ზედამხედველობას უწევდა ვ.თ.-შვილი, მთავარი „მაყურებელი“. შესაბამისად, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მომჩივნის მეუღლემ ციხე დატოვა, „X“-მა დაიწყო მასთან და განმცხადებელთან ტელეფონით რეკვა და ეუბნებოდა, რომ იცოდა სიმართლე მათი შვილის სიკვდილის შესახებ. მან გარდაცვლილის მშობლებს სთხოვა, რომ მოეხერხებინათ მისი სხვა საპრობილეში გადაყვანა, რომ მას თავი უფრო დაცულად ეგრძნო და ამგვარად მათ ყველა აუცილებელ დეტალი შეატყობინა. გარდაცვლილის მშობლებთან აღნიშნული სატელეფონო საუბრების შემდეგ, ადვოკატმა ნ.ა.-ძემ (§32), „X“-ს დაურეკა და შეხვედრა სთხოვა, რათა უფრო მეტი გაეგო საექვო სიკვდილის შესახებ. თუმცა, ხონის ციხის უფროსმა, ა.ლ.-იანმა ადვოკატს ციხეში შესვლის ნებართვა არ მისცა. მომჩივნის შვილის სიკვდილის შემდეგ, თვითონ „X“ გახდა „მაყურებელის“ სამიზნე, რომელიც მოითხოვდა, რომ რადგანაც ის გარდაცვლილის ახლობელი იყო, მისი ვალი ან მას, ან ოჯახს უნდა გადაეხადა. რადგანაც ვალის გადახდა არ შეეძლო, 2005 წლის 25 ნოემბერს „X“ ორმა „მაყურებელმა“ სცემა. შესაბამისად, მას აიძულებდნენ, რომ გარდაცვლილის მამისთვის დაერეკა და ეცადა, რომ მოთხოვნილი თანხა მიეღო. მან ტელეფონში განმარტა, რომ მას თვითონ ჰქონდა პრობლემები მათი შვილის ვალის გამო.

50. გამომძიებლის შეკითხვაზე თუ რატომ არ ახსენა მან ყველა ეს ფაქტი წინა დაკითხვის დროს, „X“-მა განაცხადა, რომ ხონის საპრობილეში მას ეშინოდა „მაყურებლებისა“, რომლებმაც მომჩივნის შვილი მოკლეს. მან ასევე კატეგორიულად დასძინა, რომ მისი ახლანდელი განცხადება სიმართლე იყო და ამას ნებაყოფლობით აცხადებდა. მან თავად მოითხოვა დამატებითი დაკითხვა და ის სათანადოდ იქნა გაფრთხილებული ცრუ ჩვენებისა და ცრუ ბრალდებით გამოწვეული პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობის შესახებ და განაცხადა რომ ის მზად იყო საკუთარი სიტყვები დაეცვა.

51. 2006 წლის აპრილში, დაუდგენელ დღეს, მოწმის სახით დაკითხულ იქნენ ზ.ლ.-იანი და ვ.თ.-შვილი სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ „X“-ს

წინააღმდეგ გამოძალვის ბრალდებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. ორმა პატიმარმა უარყო, რომ ისინი „მაყურებლები“ იყვნენ, ან რომ ხონის საპყრობილეში „ობშიაკის“ პრაქტიკა არსებობდა, განმარტავდნენ რა, რომ ვინაიდან საპყრობილე ყოფილი სამართალდამცავი ოფიცრებისთვის იყო განკუთვნილი, ამგვარი კრიმინალური პრაქტიკა იქ დაშვებული არ იყო. ისინი აცხადებდნენ, რომ მათ მეგობრული ურთიერთობები ჰქონდათ მომჩივნის შვილთან, რომელსაც, რამდენადაც ეს ცნობილი იყო, ციხეში არავისთან კონფლიქტი არ ჰქონია. ორი პატიმრის განცხადებები სიტყვასიტყვით დაადასტურა ხონის საპყრობილის პარიკმახერმა (§48), რომელიც ასევე იქნა დაკითხული 2006 წლის აპრილში, დაუდგენელ დროს და მან განაცხადა, რომ 2005 წლის 30 სექტემბერს მას არაფერი საეჭვო არ შეუნიშნავს.

52. 2006 წლის მაისში, დაუდგენელ დღეს, „X“-ის მამაც დაიკითხა მოწმის სახით. მან დაადასტურა, რომ მისი შვილი პირველი იყო, ვინც მომჩივნის ყოფილ ქმარს შვილის სიკვდილი შეატყობინა 2005 წლის 30 სექტემბერს. მან ასევე განაცხადა, რომ „X“-ს არასოდეს უთქვამს მისთვის რაიმე საეჭვო სიკვდილის შესახებ; და ამასთან კავშირში არც „მაყურებლების“ როლი ყოფილა ნახსენები და არც „ობშიაკი“. თუმცა, მოწმემ აღნიშნა, რომ მომჩივნის ყოფილი ქმარი ფიქრობდა, რომ „X“ მალავდა სიმართლეს მისი შვილის გარდაცვალების შესახებ.

53. 2006 წლის 4 მაისს, სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლები ეწვივნენ „X“-ს „Y“ საპყრობილეში. მან სიტყვასიტყვით გაიმეორა 2006 წლის 3 აპრილს მიცემული ჩვენება (§§ 47-50). პატიმარმა დამატებით განაცხადა, რომ როდესაც, 2005 წლის 1 ოქტომბერს, ექსპერტმა სთხოვა მას ბ-ნი ცინცაბაძის გვამისთვის ტანსაცმელი გაეხადა ციხის ექიმის კაბინეტში, მან შეამჩნია, რომ სხეულზე, ლავიწის ძვლის არეში, დიდი შავი ლაქა აღინიშნებოდა, ასევე უკანა მხარეს აღინიშნებოდა ხელის ანაბეჭდები და კანი იყო წითელი. მან უფროსის მოადგილეს ნებართვა სთხოვა, რომ თავისი საკუთარი ოჯახისთვის დაერეკა, რომლებიც გარდაცვლილის მამას შეატყობინებდნენ. მას ამის გაკეთება აურძალეს იმ საფუძველით, რომ საქმე ჯერ პროკურორებს უნდა განეხილათ. რვა საათიანი ლოდინის შემდეგ, „X“-მ მაინც დაურეკა მამამისს და სთხოვა, რომ გარდაცვლილის ოჯახისთვის შეეტყობინებინათ მომხდარი. მან განაცხადა, რომ წინა დაკითხვის დროს მან გამომძიებელს სთხოვა, მოეხდინათ მისი სხვა საპყრობილეში გადაყვანა მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჩვენების მიცემის დროს, რაც საქმისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა. თუმცა, ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

54. 2006 წლის 8 მაისს, სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლები ვ.მ.-შვილს შეხვდნენ (§47), რომელიც იმჟამად თბილისის №1 საპყრობილეში იმყოფებოდა. პატიმარმა წერილობითი ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა, აღნიშნა რა, რომ ეს მას სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა. მან ზეპირად განაცხადა, რომ მომჩივნის შვილს თავი არ მოუკლავს; ზურაბ ცინცაბაძემ ფული ისესხა „ობშიაკიდან“ და ამის გამო „მაყურებლებთან“ სხვადასხვა დავებში ჩაერთო. ვ.მ.-შვილმა დაადასტურა, რომ 2005 წლის 30 სექტემბერს მომჩივნის შვილი „მაყურებელმა“ სალაპარაკოდ გამოიძახა. ის შემდეგ დაბრუნდა, რომ ვილაცისთვის დაერეკა, ვიდრე

ხელახლა წავიდოდა. ვ.მ.-შვილმა არ გამორიცხა შესაძლებლობა, რომ ვალის გამო არსებულ ზეწოლას ბ-ნი ცინცაბაძის სიკვდილი შეეძლო გამოეწვია. ვ.მ.-შვილმა განაცხადა, რომ დანაშაული გულმოდგინედ დაფარა ა.ლ.-იანმა, ციხის უფროსმა, რომელიც იყო ზ.ლ.-იანის, ხონის საპრობილის ერთ-ერთი „მაყურებლის“ ნათესავი, რომელიც პირდაპირ მონაწილეობდა ამ ინციდენტში.

55. დაუდგენელ დროს, სახალხო დამცველის ოფისი ასევე შეხვდა გ.გ.-იანს (§47). თუმცა, აღნიშნულმა პატიმარმა განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა რაიმე შესაბამისი ინფორმაცია მომჩივნის შვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ.

56. 2006 წლის 13 ივლისს, სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურორს წარუდგინა ზემოხსენებულ პატიმრებთან მისი შეხვედრების ანგარიში და მოითხოვა, „სახალხო დამცველის შესახებ კანონის“ 21(3) ნაწილის საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.

57. 2006 წლის 9 აგვისტოს წერილით, საოლქო პროკურატურამ, რომელმაც 2005 წლის 22 ნოემბერს საქმის დახურვის შესახებ ორდერი გასცა (§38), სახალხო დამცველს უპასუხა, რომ სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრის საფუძველები არ არსებობდა. აღნიშნული გადაწყვეტილების გასამყარებლად, პროკურატურამ მიმოიხილა 2005 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებაში მოცემული მიზეზები და დაამატა, რომ დაკითხვისას ვ.მ.-შვილმა, რომელიც უსაფრთხოების მიზეზების გამო ხონის საპრობილიდან „Y“ საპრობილეში გადაიყვანეს, არ დაადასტურა, რომ მომჩივნის შვილი ციხეში რაიმე ზეწოლას განიცდიდა. პროკურატურამ ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ ციხეში პაემნების დროს „X“-ს არასოდეს უთქვამს რამე მამამისისთვის სადავო მკვლელობის შესახებ და რომ მან თავიდან ბოლომდე გამოიგონა მკვლელობის ამბავი, რათა უკეთ დაეცვა თავი გამოძალვის ბრალდებისგან. პროკურატურამ ასევე ხაზი გაუსვა ნინოს მისამართით დაწერილ წერილს, რომელიც, იპოვეს რა „გარდაცვლილის ტანსაცმელში“, რეალურ საფუძველს უქმნიდა თვითმკვლელობის თეორიას.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო დოკუმენტები

ა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სსსკ), რომელიც ძალაში იყო მოცემულ დროს

58. სსსკ-ს 28-ე მუხლის 1(ა) პუნქტში („საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველები“) მოცემულია:

„სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძვას, ხოლო აღძრული უნდა შეწყდეს, თუ:

(ა) მოცემული ქმედება ან უმოქმედობა არ წარმოადგენს დანაშაულს სისხლის სამართლის კოდექსით;...”

59. სსსკ-ს 333-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით („დათვალიერების მიზანი და სახეები“), მხოლოდ გამომძიებელს ან პროკურორს აქვს უფლება დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი, გვამი და მტკიცებულების მატერიალური ნივთები და დოკუმენტები, რომლებიც დანაშაულის ჩადენასთანაა დაკავშირებული.

სსსკ-ს 335-ე მუხლის 1 და 3 პუნქტების მიხედვით („შემთხვევის ადგილის დათვალიერება“):

„1. შემთხვევის ადგილის დათვალიერება ხდება იქ, სადაც მოხდა დანაშაული, ან აღმოჩენილია მისი კვალი. დათვალიერების დამთავრებამდე შემთხვევის ადგილი დაცული უნდა იყოს“.

3. პირმა, რომელიც დათვალიერებას ატარებს, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ანაბეჭდები, საგნები და დოკუმენტები უნდა შეფუთოს და დალუქოს...”.

60. სსსკ-ს 366-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე გამომძიებლის ან პროკურორის გადაწყვეტილების შესახებ სამოქალაქო მხარის შეტყობინება უნდა მოხდეს წინასწარ, რათა მხარემ ეფექტურად მოახდინოს შესაბამისი უფლებებით სარგებლობა, როგორცაა დანიშნული ექსპერტის აცილება ან მისთვის შეკითხვების დასმა.

ბ. საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებული 2006 წლის 8 მარტის ანგარიში

61. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ზემოხსენებული ანგარიშიდან ქვემოთ მოყვანილ ამონარიდებში, საქართველოს ციხეებში „ობშიაკის“ შეგროვების პრაქტიკასთან დაკავშირებით, მოცემულია:

„[კ]ანონიერი ქურდები“, ორგანიზებული დანაშაულებრივი ბანდების ძლიერი ქსელი არსებობდა ყველა ციხეში და ისინი თანაპატიმრებს მუდმივად გამოსძალავდნენ ხოლმე გადასახდელ თანხას, რომელსაც „ობშიაკს“ ეძახდნენ, რაც თავის მხრივ ციხის თანამდებობის პირების და მოსამართლეების მოსაქრთამავად გამოიყენებოდა. გეგუთის კოლონიებში, ციხის თანამდებობის პირები უარს ამბობდნენ ღამით პატრულირებაზე, ქურდების მხრიდან თავდასხმის შიშის გამო. არასამთავრობო ორგანიზაციები ანგარიშებში აღნიშნავდნენ, რომ ბევრი პატიმარი ითხოვდა კარცერში მარტო განთავსებას, მიუხედავად იქ არსებული სავალალო პირობებისა, რათა ქურდების ზეგავლენისგან თავი დაეღწია. საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის თანახმად, დაჯგუფებასთან თანამშრომლობაზე უარი ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დამცირებას გამოიწვევდა.

დაცვისა და ციხის თანამშრომლების ხელფასების გადახდა წელს უფრო რეგულარული გახდა, რამაც კორუფცია შეამცირა. თუმცა, ივნისში არასამთავრობო ორგანიზაციისა და სახალხო დამცველის მხარდმა ზეწოლამ კულმინაციას მიაღწია ს[.] კ[.]-ს, [იუსტიციის] სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის სისხლის სამართლის გამოძიებაში, ქურდებთან სავარაუდო თანამშრომლობასთან დაკავშირებით პატიმრებისგან ფულის გამოძალვის და მათზე ძალადობის კუთხით; [სახალხო დამცველის] ოფისმა ბრალი დასდო კ[.]-ს, პატიმრებისგან ყოველთვიურად 166

ათასი აშშ დოლარზე მეტი (300 ათასი ლარი) „ობშიაკის“ ფულის გამოძალვის გამო. სამინისტრომ კ[.]–ს მოხსნაზე უარი განაცხადა, თუმცა ციხის ორი ადმინისტრატორი ამის შემდეგ დააპატიმრეს – ერთ-ერთი მათგანი დაკავებული პირის ნათესავისგან ქრთამის გამოძალვისთვის, მეორე კი იმ ინციდენტის გამო, რომლის დროსაც [სახალხო დამცველის] და მთავარი პროკურორის თანამდებობის პირები შეწყუბუნდნენ მისი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ საპატიმრო დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებისას....“

სამართალი

I. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

62. კონვენციის მე-2 (§1) მუხლის საფუძველზე, მომჩივანმა გაასაჩივრა ის ფაქტი, რომ მისი შვილი ციხეში მოკლეს, ხოლო მკვლელობა თვითმკვლელობად შეინიღბა და რომ ოფიციალურმა პირებმა ვერ შეძლეს ამ საქმეზე ადეკვატური გამოძიების განხორციელება. კონვენციის აღნიშნული მუხლი შემდეგნაირად იკითხება :

„1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი. სიცოცხლის ხელყოფა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის აღსრულების შედეგად, ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.“

63. მთავრობამ გააპროტესტა აღნიშნული არგუმენტი, აღნიშნავდა რა, რომ მომჩივნის შვილმა ციხეში თავი მოიკლა, მაგრამ მოპასუხე სახელმწიფო ამისთვის პასუხისმგებელი არ უნდა ყოფილიყო, რადგან შესაბამის უწყებებს ამ ტრაგიკული მოვლენის გათვალისწინება არ შეეძლოთ. მთავრობამ განაცხადა, რომ ზურაბ ცინცაბაძეს არასოდეს შეუტყობინებია ციხის ადმინისტრაციისთვის თანაპატიმრების მხრიდან რაიმე არასათანადო მოპყრობის შემთხვევის ან რაიმე სხვა მღელვარების შესახებ, რასაც ის სავარაუდოდ განიცდიდა ციხეში; ასევე არ არსებობს სამედიცინო ჩანაწერები მისი სუიციდური მიდრეკილებების შესახებ. შესაბამისად, ადგილობრივი უწყებებისთვის არ არსებობდა საფუძველი, ევარაუდათ ამგვარი ავბედითი მოვლენის მოხდენის შესაძლებლობა და ამგვარად, არ არსებობდა პრევენციული ზომების მიღების საფუძველი.

64. მთავრობა შემდგომში ამტკიცებდა, რომ მომჩივნის შვილის გარდაცვალების გამოძიება სრულად აკმაყოფილებდა კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს. გამოძიება დაიწყო გვამის აღმოჩენისთანავე დაუყოვნებლივ, სათანადოდ დაიკითხა ყველა მოწმე, ვისაც შეიძლებოდა ჰქონოდა რაიმე საჭირო ინფორმაცია, მათ შორის ორივე პატიმარი და ხონის საპყრობილის ადმინისტრაცია. აგრეთვე, ჩატარდა შესაბამისი სასამართლო ექსპერტიზაც. განმცხადებლს ასევე ჰქონდა შესაძლებლობა, რომ გამოძიების შეწყვეტა ადგილობრივ

სასამართლოებში გაესაჩივრებინა. უბრალო ფაქტი, რომ ის არ დაკმაყოფილდა გამოძიების შედეგით, სახელმწიფოსთვის ბრალის საფუძველს არ უნდა წარმოადგენდეს.

65. ადგილობრივი უწყებების მიერ ჩატარებულ სხვადასხვა საგამოძიებო საშუალებებს შორის, მთავრობამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი 2005 წლის 28 ოქტომბრით დათარიღებული წერილის აღმოჩენის მნიშვნელობას. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2005 წლის 10 ნოემბრის წერილის შინაარსზე მითითებით (§§ 34 და 35), მთავრობა აღნიშნავდა, რომ გამოძიებით იქნა დადგენილი და თავად მომჩივნის მიერ დადასტურებული, რომ 2005 წლის 28 ოქტომბრით დათარიღებული წერილის ხელწერა მის შვილს ეკუთვნოდა.

66. საქართველოს ციხეებში „მაყურებლისა“ და „ობშიაკის“ ფენომენტან, ასევე ამ მიმართებით ციხის ადმინისტრაციების როლთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ დასმული შეკითხვის პასუხად, მთავრობა აცხადებდა, რომ ვინაიდან ხონის საპრობილე ყოფილი სამართალდამცავ ორგანოთა ყოფილ თანამშრომელთათვის იყო განკუთვნილი, ის, სასაუბრო ენაზე რომ ვთქვათ, „წითელ ზონას“ წარმოადგენდა, რომელიც გამორიცხავდა ნებისმიერ შესაძლებლობას, რომ პატიმრები კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები ყოფილიყვნენ. შესაბამისად, იქ არანაირი ადგილი არ იყო მაფიის ბოსებისთვის – ეგრეთ წოდებული „კანონიერი ქურდებისთვის“ - რაც, თავის მხრივ, ხონის საპრობილეში რაიმე კრიმინალური პრაქტიკის არსებობას გამორიცხავდა.

67. ამის პასუხად მომჩივანმა ჯერ მითითება გააკეთა საქმის იმ გარემოებებზე, რომლებიც, მისი შეხედულებისამებრ, ადასტურებდა, რომ მისი შვილის სიკვდილის გამოძიება არაადეკვატური იყო. კერძოდ, ის აღნიშნავდა, რომ 2005 წლის 28 ოქტომბრით დათარიღებული წერილი დაწერილი იყო ვინმე ნინოს სახელზე, თუმცა, მისი შვილის მეღვინე, ვის გამოც თითქოს მან თავი მოიკლა, მაკა ერქვა. მომჩივანი ასევე აკეთებდა მითითებას „X“-სა და თავისი ყოფილი ქმრის ერთნაირ ჩვენებებზე, რაც ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ მის შვილს პრობლემები ჰქონდა ხონის ციხის „მაყურებლებთან“, რასაც მისი საექვო სიკვდილის ახსნა შეეძლო. ის აღნიშნავდა, რომ ადგილობრივმა უწყებებმა მკვლელობის შესაძლებლობა ადეკვატურად ვერ გამოიკვლიეს.

68. მომჩივანი ასევე ამტკიცებდა, რომ მთავრობამ თავი აარიდა სასამართლოს შეკითხვას ციხეში არსებულ ზემოხსენებულ ორ ფენომენტან დაკავშირებით და ინფორმაცია მხოლოდ მაფიის ბოსების შესახებ წარმოადგინა. იგი განაგრძობდა, რომ განხილვის დროისთვის, „ობშიაკის“ შეგროვების პრაქტიკა საქართველოს ყველა ციხეში ჩვეული რამ იყო, განურჩევლად იმისა, ციხე ე.წ. „წითელი ზონა“ (ციხე, სადაც მხოლოდ ყოფილი თანამდებობის პირები და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები იხდნენ) იყო თუ „შავი ზონა“ (ციხე, სადაც სასჯელს ჩვეულებრივი კრიმინალები იხდიდნენ). ამგვარად, „ობშიაკი“ არსებობდა როგორც სავალდებულო „გადასახადი“, რომელსაც ციხის ადმინისტრაციაც უწყობდა ხელს, მოჰქონდა პირადი სარგებელი და სავალდებულო იყო ყველა პატიმრისთვის „მაყურებლების“ გარდა და კიდევ სხვა რამდენიმე გამონაკლისის ჩათვლით.

ყოველთვიური გადასახადის გარდა, საერთო ფონდში კიდევ სხვა ტიპის შემოსავლებიც შედიოდა, როგორცაა პატიმრების მიერ აზარტულ თამაშში მოგებული ნებისმიერი თანხის პროცენტი. „ობშიაკის“ ნაწილს ციხის ადმინისტრაციას უხდიდნენ, რომელიც, თავისი მხრიდან, ნაკლებად მკაცრ შეზღუდვებს აწესებდა (მაგალითად, ბანქოს თამაშის ნებართვა, პატიმრებისთვის უფლების მიცემა, საკნიდან მაშინ გამოსულიყვნენ, როცა მოესურვებოდათ, ასევე მნახველებისგან კანონით აკრძალული ნივთების მიღების ნებართვა, როგორცაა მობილური ტელეფონები). თუ ციხე „შავი ზონა“ იყო, მაშინ „ობშიაკი“ ასევე მაფიის ბოსების სხვადასხვა საქმიანობისთვისაც გამოიყენებოდა. რაც შეეხება „მაყურებლების“ როლს, მომჩივანი აღნიშნავდა, რომ ციხეებში ამგვარი „ზედამხედველების“ ორი ტიპი არსებობდა: საკნის „მაყურებელი“ და შენობის „მაყურებელი“. საკნის „მაყურებელი“ სიტუაციას აკონტროლებდა საკანში იმის უზრუნველსაყოფად, რომ საკანში მყოფ პატიმრებს თავიანთი შესატანი დროულად გადაეხადათ, ხოლო შენობის „მაყურებელი“ უფრო მაღალ დონეზე მოქმედებდა და მთელს ციხეში „ობშიაკის“ შეგროვების პროცესს ზედამხედველობდა. არ იყო აუცილებელი, რომ „მაყურებელი“ მაფიის ბოსი ყოფილიყო არც „შავ ზონაში“ და არც „წითელ ზონაში“, ის იყო გავლენიანი პატიმარი, რომლის ავტორიტეტს ციხის ადმინისტრაციაც პატივს სცემდა.

69. მომჩივანი განაგრძობდა, რომ რამდენადაც ხონის ციხის ადმინისტრაცია ზემოხსენებული ციხის ფენომენის ნაწილს შეადგენდა, ნათელი იყო, რომ მას არ შეეძლო რაიმე ინტერესი ჰქონოდა სიმართლის დადგენაში იმასთან დაკავშირებით, მართლა მოკლეს თუ არა მისი შვილი „მაყურებლებმა“ იმ ვალის გამო, რაც მას „ობშიაკისთვის“ ემართა. მან ადგილობრივი ოფიციალური პირები გაკიცხა იმისთვის, რომ მათ საქმე ხელახლა არ გახსნეს მას შემდეგ, რაც 2006 წლის დასაწყისში მიიღეს მნიშვნელოვანი ახალი ინფორმაცია მისი შვილის სიკვდილის შესახებ.

ა. დასაშვებობა

70. სასამართლო აცხადებს, რომ წინამდებარე საჩივარი არ ეწინააღმდეგება კონვენციის 35-ე (§3) მუხლს. ის ასევე აცხადებს, რომ არ არსებობს დაუშვებლობის რაიმე სხვა საფუძველი. შესაბამისად, საჩივარი დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

ბ. არსებითი განხილვა

1. ზოგადი პრინციპები

71. სასამართლო კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ მე-2 (§1) მუხლის პირველი წინადადება არამართო უშუალოდ ავალდებულებს სახელმწიფოს, თავი შეიკავოს

სიცოცხლის განზრახ და უკანონოდ ხელყოფისგან, არამედ, ამავდროულად, ავალდებულებს მას, საჭირო ნაბიჯები გადადგას მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ადამიანების სიცოცხლის დასაცავად (იხ. მაგ., *ოსმანი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 28 ოქტომბერი, §115, განჩინებებისა და გადაწყვეტილებების კრებული, 1998-VII).

72. მე-2 მუხლში მოცემული დაცვის მნიშვნელოვანი ბუნებიდან გამომდინარე, სასამართლო სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები გულდასმით უნდა განიხილოს და მხედველობაში მიიღოს არამხოლოდ სახელმწიფო მოხელეების მოქმედება, არამედ ყველა არსებული გარემოება. თავისუფლების აღკვეთის ქვეშ მყოფი ადამიანები არიან დაუცველნი და სახელმწიფო უწყებებს ევალებათ მათი დაცვა. შესაბამისად, როცა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მისი დაპატიმრების მომენტში კარგია, ხოლო გამოშვების მომენტში კი მას დაზიანებები აღენიშნება, სახელმწიფო ვალდებულია, დამაჯერებელი ახსნა-განმარტება წარმოადგინოს ამ დაზიანებების გამოწვევ მიზეზთა შესახებ (იხ. *სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ* [GC], №25803/94, §87, ECHR, 1999-V). სახელმწიფო უწყებების ვალდებულება, პასუხი აგონ თავისუფლების აღკვეთის ქვეშ მყოფ ადამიანთა მიმართ მოპყრობაზე, კიდევ უფრო მძაფრდება ამ ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში (იხ. *კენანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, №27229/95, §91, ECHR, 2001-III და *სალმანი თურქეთის წინააღმდეგ* [GC], №21986/93, §99, ECHR, 2000-VII).

73. მტკიცებულებათა შეფასების დროს, სასამართლო ზოგადად იყენებს „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცების სტანდარტს (იხ. *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, 1978 წლის 18 იანვარი, §161, სერია ა, №25). თუმცა, ამგვარი მტკიცება საკმაოდ ძლიერი, ნათელი და თანადროული ჩარევისა თუ ფაქტის მსგავსი საწინააღმდეგო აღქმიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. სადაც მოცემული საქმის გარემოებები მთლიანად ან მეტწილად პასუხისმგებელ ორგანოთა ექსკლუზიური ცოდნის სფეროშია მოქცეული, როგორც მათი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ადამიანების შემთხვევაში, დაკავების დროს დაზიანებებისა და სიკვდილის დადგომისას წარმოიშობა ფაქტის ძლიერი პრეზუმფცია. შესაბამისად, მტკიცების ტვირთი ეკისრება უწყებებს, რომლებმაც დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტება უნდა წარადგინონ (იხ. *სელმუნი*, ხსენებული ზემოთ, §100, და *ერტაკი თურქეთის წინააღმდეგ*, №20764/92, §32, ECHR, 2000-V).

74. კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოების მიერ სიცოცხლის დაცვის ვალდებულება გულისხმობს, რომ ადამიანების მკვლელობის შემთხვევაში უნდა ჩატარდეს ეფექტური ოფიციალური გამოძიება. ამგვარი გამოძიების გამართვის მოვალეობა წარმოიშობა მკვლელობის ან სიკვდილის სხვა საეჭვო შემთხვევების დროსაც, მიუხედავად იმისა, დამნაშავეები კერძო პირები არიან, სახელმწიფო მოხელეები თუ უცნობი პირები (იხ. *მენსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (განჩინ.), №47916/99, ECHR, 2003-V და *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ* [GC], №43577/98 და 43579/98, §110, ECHR, 2005-VII).

75. გამოძიება უნდა იყოს ეფექტური იმ გაგებით, რომ შესაძლებელი იყოს ფაქტების დადგენა და პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა. ხელისუფლების

ორგანოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო შესაძლო ზომა კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოპოვების, მათ შორის თვითმხილველთა ჩვენების, ნივთმტკიცებებისა და საჭიროებისამებრ გვამის გაკვეთის შესასრულებლად, რომელიც ზუსტად აღწერს დაზიანებას და კლინიკური აღმოჩენების, მათ შორის, სიკვდილის მიზეზის ობიექტურ ანალიზს უწყობს ხელს (იხ. *სალმანი*, ხსენებული ზემოთ, §106; *ტანრიკულუ თურქეთის წინააღმდეგ* [GC], №23763/94, §109, ECHR, 1999-IV და *გიული თურქეთის წინააღმდეგ* №22676/93, §89, 2000 წლის 14 დეკემბერი). გამოძიების დასკვნები უნდა ეყრდნობოდეს ყველა შესაბამისი ფაქტის ამომწურავ, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების ვალდებულება მხოლოდ გამოსაყენებელ ხერხებს მიეკუთვნება და არ არსებობს ბრალდების ან მსჯავრდების აბსოლუტური უფლება, გამოძიების დროს დაშვებული ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც ხელს უშლის გამოძიების მიერ საქმის გარემოების დადგენასა თუ პასუხისმგებელი პირის გამოვლენას, ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანობის მოთხოვნას (იხ. *ესატ ბაირამი თურქეთის წინააღმდეგ*, №75535/01, §47, 26 May 2009 და *რამსაჰაი და სხვები ჰოლანდიის წინააღმდეგ* [GC], №52391/99, §321, ECHR, 2007-VI).

76. იმისათვის, რომ გამოძიება ეფექტური იყოს, გამოძიებასა და მის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირები დამოუკიდებელი და მიუკერძოებლები უნდა იყვნენ კანონისა და პრაქტიკის თვალსაზრისით. ეს არამხოლოდ მოვლენებში ჩართულ მხარეებთან იერარქიული თუ ინსტიტუციური კავშირის არარსებობას გულისხმობს, არამედ პრაქტიკულ დამოუკიდებლობასაც (იხ. *რამსაჰაი და სხვები*, ხსენებული ზემოთ, §§ 325 და 333-346, და *სკავუცო-ჰაგერი და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ*, №41773/98, §§ 8-86, 2006 წლის 7 თებერვალი). გამოძიების დროს ან მისი შედეგების მიღებისას საჭირო რაოდენობით უნდა იყოს დაშვებული საზოგადოებრივი კრიტიკა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ანგარიშვალდებულება, საზოგადოების ნდობის შენარჩუნება ხელისუფლების ორგანოების მიერ კანონის უზენაესობის დაცვის თვალსაზრისით და არაკანონიერი ქმედების ხელშეწყობის რაიმე გამოვლენის თავიდან აცილების მიზნით. ყველა საქმეში სავალდებულოა მსხვერპლის უშუალო მემკვიდრის ჩართულობა პროცედურებში, რათა დაცული იქნეს მისი კანონიერი ინტერესები (იხ. მაგ., *გულერჩი თურქეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 27 ივლისი, §82, ანგარიში 1998-IV).

2. აღნიშნული პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

77. უდავოა ის ფაქტი, რომ მომჩივნის შვილის სიკვდილის გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყო და რომ არაერთი გადაუდებელი და საჭირო საგამოძიებო ზომა იქნა განხორციელებული, როგორცაა ადგილის დათვალიერება, გაკვეთა და სხვადასხვა მოწმეების დაკითხვა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ გამოავლინა არაერთი სერიოზული შეუსაბამობა და ხარვეზი ამ ღონისძიებათა განხორციელების

მეთოდში, გამოძიების დაწყებიდან მისი მიმდინარეობის პროცესში. შესაბამისად, ზურაბ ცინცაბაძის საექვო სიკვდილთან დაკავშირებული ბევრი ამკარა შეკითხვა უპასუხოდ დარჩა.

(ა) თვითმკვლელობის ოფიციალური ვერსიის ნაკლოვანი მხარეები

78. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩინის შვილი გარდაცვლილი იპოვეს ხონის ციხეში, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, რომელიც იუსტიციის სამინისტროს პირდაპირი ზედამხედველობის ქვეშაა (§9). სიცოცხლის განზრახ ხელყოფის შემთხვევის გამორიცხვის შემთხვევაშიც, მოცემული საქმის გარემოებიდან გამომდინარე ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ყურადღებით და მიუკერძოებლად გაანალიზებას საჭიროებს, არის ის თუ რამდენად შეიძლებოდა სიკვდილი გამოწვეული ყოფილიყო ციხის ადმინისტრაციის დაუდევრობით. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ყველა საგამოძიებო ღონისძიება იგივე სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დასავლეთ საქართველოს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ განხორციელდა, ხოლო გამოძიების შედეგები პირდაპირ იქნა დამოწმებული სახელმწიფო ბრალმძებლის მიერ, საკუთარი დამატებითი გამოძიების გარეშე საქმის დახურვის მიზნით (§§ 10 და 38). სასამართლოს აზრით, ეს ინსტიტუციური კავშირი გამომძიებლებსა და გამოსაძიებელ დაწესებულებას შორის კანონიერ ექვს ბადებს გამოძიების პროცესის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით (იხ. *ერგი თურქეთის წინააღმდეგ*, 28 ივლისი 1998, §§ 83-84, ანგარიშები 1998-IV, და *Scavuzzo-Hager*, ხსენებული ზემოთ, §§ 78 და 80-86). ეს ექვი კიდევ უფრო ძლიერდება ამ საქმეში საგამოძიებო ორგანოს მოქმედების მანერის გათვალისწინებით.

79. სხვადასხვა საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელების გარემოებების უფრო დეტალური ანალიზი ავლენს რამდენიმე სერიოზულ დარღვევას. უფრო კონკრეტულად კი, ადგილი, სადაც ზურაბ ცინცაბაძის სხეული იქნა აღმოჩენილი, არ იქნა დალუქული გამომძიებლების მოსვლამდე, რაც ეწინააღმდეგება სსსკ-ის 333-ე (§1) მუხლის მოთხოვნასა და 335-ე (§1) მუხლის მოთხოვნას (იხ. §59 და შეად. *ვაჩკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ* საქმეს №2747/02, §91, 8 ივლისი 2010). სასამართლო განსაკუთრებით შეძრა იმ ფაქტმა, რომ ციხის თანამშრომლებს, რომლებიც ლოგიკურად შესაძლოა ჩარეული ყოფილიყვნენ ამ ავბედით მოვლენაში, უფლება ჰქონდათ გარდაცვლილისთვის გაეხადათ ფეხსაცმელები, გაეჩხრიკათ მისი ჯიბეები და შემთხვევის ადგილიდან გაეტანათ ისეთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, როგორცაა სკამები და საბნისგან გაკეთებული ბაწარი, რომლის მეშვეობითაც პატიმარმა სავარაუდოდ თავი მოიკლა (§11). სამწუხაროა, რომ მოსარჩელის არაერთი საჩივრის მიუხედავად, საგამოძიებო, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებმა შესაბამისად ვერ გაითვალისწინეს ეს მნიშვნელოვანი პროცედურული შეუსაბამობა (§§ 39 და 41). სასამართლო იმ ფაქტსაც აქცევს ყურადღებას, რომ ციხის პერსონალის მიერ ადგილზე სავარაუდოდ აღმოჩენილი სხვა ობიექტებისგან განსხვავებით, გამომძიებლემ გაუგებარი მიზეზის გამო არ დალუქა სკამები, რომელიც,

სავარაუდოდ, ჩამომხრჩვალ პატიმრის ფეხების ქვეშ იყო და რომელიც ძალიან მნიშვნელოვან ნივთმტკიცებას წარმოადგენდა (§11).

80. სასამართლო ასევე გაკვირვებულია იმ ფაქტით, რომ, მომჩივნის თქმით, გამომძიებლებმა არ აიღეს თითების ანაბეჭდები სკამებიდან, ბოქლომიდან, კარებიდან ან საკეტიდან, რათა შეედარებინათ გარდაცვლილის ანაბეჭდებისათვის (§39). სასამართლოს ეჭვი არ ეპარება, რომ ამგვარი მარტივი, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში აუცილებელი საგამომძიებო ზომა, მნიშვნელოვნად შეცვლიდა ფაქტებს იმის შესახებ თუ როგორ შევიდა ზურაბ ცინცაბაძე დაკეტილ ოთახში და თავად მოამზადა თუ არა თავის ჩამოხრჩობა (*ბეკერი თურქეთის წინააღმდეგ*, №27866/03, §47, 24 მარტი 2009). სამწუხაროა, რომ საოლქო პროკურორის ნათელი და გამოსადეგი ინსტრუქციის მიუხედავად, სამინისტროს საგამომძიებო დეპარტამენტმა თავი არ შეიწუხა გამოევიწყინა და დაეკითხა ხონის ციხის დაცვის თანამშრომელი, რომელიც 2005 წლის 30 სექტემბრის ღამეს მორიგეობდა, ზედამხედველობდა საწყობს და შესაბამისად, შეეძლო მიეცა ჩვენება, როდის და ვისთან ერთად შევიდა პატიმარი ამ ოთახში (§33).

81. გამოძიების კიდევ ერთ სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს ის, რომ სსსკ-ის 336-ე მუხლის მიხედვით არც მომჩივანს, არც მის ყოფილ მეუღლეს წინასწარ არ ეცნობათ გამომძიებლის გადაწყვეტილების შესახებ შვილის სხეულის ექსპერტიზის შესახებ. პირიქით, ხელისუფლების ორგანოებმა ისინი დააყენეს ფაქტის წინაშე და მომხდარის შესახებ შეატყობინეს *Post Factum*, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ანგარიშის მეშვეობით სიკვდილის მიზეზის დადგენის შემდეგ. მომჩივნის ასეთ მნიშვნელოვან საგამომძიებო პროცედურაში ჩაურთველობამ მას არ მისცა შესაძლებლობა, რომ მას, როგორც დაზარალებულად ცნობილ მხარეს, თავისი უფლებები გამოეყენებინა. ამ ფაქტმა საზოგადოებრივი ჩართულობა გამოძიების პროცესში მინიმუმამდე დაიყვანა, რაც ეჭვქვეშ აყენებს დასკვნის სანდოობას (*mutatis mutandis*, ბეკერი, ხსენებული ზემოთ, §§ 49 და 51-52)

82. სასამართლო ასევე შენიშნავს, რომ ერთგვარი შეუსაბამობაა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ანგარიშს, რომელიც დაზარალებულად ცნობილი შესაბამის პროცედურაში მონაწილეობის გარეშე არასრულფასოვანია და ალტერნატიული გაკვეთის ანგარიშს შორის, რომელმაც ზურაბ ცინცაბაძის ცხედრის დამატებითი გამოკვლევა გაითვალისწინა, რაც სახალხო დამცველის წარმომადგენლების თანდასწრებით გაიმართა და, ამგვარად, საზოგადოებრივი კრიტიკის საშუალებას უფრო მეტად იძლეოდა (*mutatis mutandis*, ბეკერი, §49, და გულეჩი, §82, ხსენებული ზემოთ). უფრო კონკრეტულად, ალტერნატიული გაკვეთის ანგარიშმა აჩვენა, რომ გარდაცვლილს კისერზე დახრჩობის ნიშანთან ერთად კიდევ ერთი დაზიანება ჰქონდა, რომელიც ბლავი საგნით იყო მიყენებული (§30). დაზიანების შემდგომ კვლევას ნათელის მოფენა შეეძლო როგორც თვითმკვლელობის ოფიციალური ვერსიის საფუძვლიანობის, ასევე მომჩივნის მიერ წამოყენებულ მკვლელობის ვერსიისთვის. სამწუხაროა, რომ საგამომძიებო ორგანომ ვერ მოახერხა ადეკვატურად გამოეკვლია, ან აეხსნა გვამის გაკვეთის ამ ორ ანგარიშს შორის არსებული შეუსაბამობა. მაგალითად, საოლქო პროკურორის მითითებების

მიხედვით (§33) გამომძიებელს შეეძლო დამოუკიდებელი ექსპერტების დაკითხვა, ან თუნდაც მათი სახელმწიფო ექსპერტთან დაპირისპირება მეორე დაზიანების წარმოშობის თაობაზე. თუმცა, სასამართლო თვლის, რომ მხოლოდ სახელმწიფო ექსპერტიზაზე დაყრდნობით გამომძიებელმა ცალმხრივად იმოქმედა (*ესატ ბაირამი*, ხსენებული ზემოთ, §51).

83. და ბოლოს, 2005 წლის 28 ოქტომბრის წერილთან დაკავშირებით, რომლის აღმოჩენამაც გამომძიებლებს თვითმკვლელობის თეორიის კიდევ ერთი, აქამდე უცნობი მოტივის – ზ. ცინცაბადის მიერ მისი ყოფილი ცოლის მიმართ სიყვარულის არსებობით დამტკიცების საშუალება მისცა, სასამართლო თვლის, რომ ამ მტკიცებულების სანდოობა მცირეოდენ კრიტიკასაც კი ვერ უძლებს. უპირველეს ყოვლისა, წერილი გარდაცვლილის სიკვდილის შემდეგ, 2005 წლის 30 სექტემბრის შემდეგი თარიღით იყო დათარიღებული და გამომძიებლის განმარტება, რომ გარდაცვლილს „უდავოდ“ შეეშალა თვეები, მხოლოდ ვარაუდია. ასევე, კიდევ რომ დაშვებულ იქნეს თარიღის შეშლის მოსაზრება, შეუსაბამოა ვიფიქროთ, რომ პატიმარს დაავიწყდა თავისი ყოფილი მეუღლის სახელი და ეს ყველაფერი იმ ფონზე, რომ მისი სიყვარულით ის თვითმკვლელობამდე მივიდა. სასამართლო აღნიშნავს, რომ გარდაცვლილის ყოფილი მეუღლის სახელი იყო მაკა, ხოლო სავარაუდო წერილი კი ვინმე ნინოს სახელზე იყო დაწერილი (§§ 7 და 34). თუ წერილი მომჩივნის მეგობარ ნინოს ეძღვნებოდა, რომელიც, როგორც ითქვა, თანხას უგზავნიდა მომჩივნის შვილს ციხეში (§43), მაშინ გაუგებარია, გამომძიებელი რატომ არასოდეს მივიდა ამ ქალბატონთან და არ გამოარკვია მათ შორის არსებული ურთიერთობა. უფრო მეტიც, როგორც მომჩივანმა რამდენჯერმე აღნიშნა, უწყებებმა ვერ შენიშნეს, რომ მისი შვილის სხეულის აღმოჩენისთანავე გარდაცვლილის ტანსაცმლის ჯიბეები ციხის თანამშრომლებმა შეამოწმეს და მხოლოდ 3 ნივთი აღმოაჩინეს – სიგარეტის კოლოფი, სანთებელა და ტკივილგამაყუჩებელი აბი (§§ 11 და 39). გამომძიებლებმა არც იმის შემოწმებაზე შეიწყუხეს თავი თუ რამდენად შესაძლებელი იყო გარდაცვლილი ადამიანიდან ტანსაცმლიდან ამოვარდნილი წერილი მთელი თვის განმავლობაში შეუმჩნევლად გდებულიყო მორგის მაცივარში, 2005 წლის 1-3 ოქტომბრიდან 8 ნოემბრამდე, მაშინ, როცა მაცივარი პროცედურის მიხედვით თვეში 2-3-ჯერ იწმინდებოდა (§§ 16 და 34-36). უფრო მეტიც, საგამომძიებო ორგანოებმა ვერ მოახერხეს აღნიშნული წერილის შემოწმება ხელწერისა თუ თითების ანაბეჭდების თვალსაზრისით, რაც რამდენჯერმე მოითხოვა მომჩივანმა. ამ მოსაზრებით, მთავრობის არგუმენტი, რომელიც მხოლოდ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ წერილის 2005 წლის 10 ნოემბერს გასინჯვის ანგარიშს დაეყრდნო (§§ 34-35 და 65), რომლის მიხედვითაც ხელწერა მომჩივნის შვილს ეკუთვნოდა, უსაფუძვლო მტკიცებას წარმოადგენს, ვინაიდან არ არსებობს ექსპერტის დასკვნა რეკვიზიტული ხელწერის გასინჯვის შესახებ.

84. ზემოხსენებული უზუსტობები და გამოძიების მიმდინარეობის აუხსნელი შეუსაბამობები საკმარისი საფუძველია, რომლითაც სასამართლო ასკვნის, რომ თვითმკვლელობის ვერსია, რომელიც ადგილობრივი ორგანოების მიერ იქნა დამტკიცებული, წარმოდგენილ მტკიცებულებებთან ერთად სარწმუნო არ არის.

სასამართლო იზიარებს რა მომჩივნის მოსაზრებებს, ამ აღმოჩენებს ვერ მიიჩნევს ზურაბ ცინცაბაძის ციხეში საექვო სიკვდილის სარწმუნო ახსნა-განმარტებად (ბეკერი, §51).

(ბ) მკვლელობის ვერსიის შესაბამისად გამოძიების შეუძლებლობა

85. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ გამოძიების ეფექტურობისათვის მისი დასკვნები ყველა შესაბამისი ელემენტის ამომწურავ, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს უნდა ეყრდნობოდეს. გამოძიების აშკარა ხაზიდან გადახვევა ეჭვქვეშ აყენებს გამომძიებლის უნარს, დაადგინოს საქმის გარემოებები და პასუხისმგებელი პირები (კოლეჯი ბულგარეთის წინააღმდეგ, №1108/02, §201, 2009 წლის 5 ნოემბერი).

86. მოცემული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლო აღნიშნავს, რომ ადგილობრივი ორგანოების წინაშე მომჩივანი ყოველთვის უარყოფდა მისი შვილის მიერ თვითმკვლელობის ჩადენის ფაქტს და აცხადებდა, რომ შესაძლო იყო მისი შვილის მკვლელობა და ამ მკვლელობის შემდეგ თვითმკვლელობის ფორმით შენიღბვა ხობის ციხის ადმინისტრაციის მიერ. ის ბრალდება საკმაოდ შორს იყო საფუძვლიანობისგან, ვინაიდან ეწინააღმდეგება საკმაოდ ძლიერ, ნათელ და თანმხვედრ ფაქტებს, რომელიც ინფორმაციის სხვადასხვა სანდო წყაროდან გამომდინარეობს და მათი გაბათილება ვერ ხერხდება შესაბამისი ადგილობრივი უწყებების მიერ.

87. უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიების დაწყებისთანავე, პირველივე დაკითხვის დროს მომჩივანმა გამომძიებელს კონკრეტულ ფაქტობრივი გარემოებებზე მითითებით მოახსენა, რომ მისი შვილი აღელვლებული იყო ხონის ციხეში არსებულ პატიმართა „ობშიაკში“ თანხის შეტანის თაობაზე, რაც მისი ნათესავებისგან მუდმივად თანხის შეგზავნას საჭიროებდა. მომჩივანმა მოგვიანებითაც არაერთხელ გაიმეორა ეს ჩვენება და კონკრეტულად მოსთხოვა ხელისუფლების უწყებებს, მოკვლევა ამ მიმართულებითაც ეწარმოებინათ (§§ 29 და 32).

88. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ თვითმკვლელობის თეორიაში ეჭვი მხოლოდ მომჩივანს არ შეუტანია. „X“, ხონის ციხის თანაპატიმარი, უფრო კარგი საინფორმაციო წყარო გახდა გამოძიებისათვის. ამგვარად, „X“-მა სახალხო დამცველის ოფისსა და სამინისტროს საგამომძიებო დეპარტამენტს სპეციფიკური და თანმხვედრი დეტალები მიაწოდა ზურაბ ცინცაბაძისა და ხონის ციხის სხვა ბინადრებს - „მაყურებლებს“ შორის კონფლიქტის თაობაზე იმ ვალის გამო, რომელიც მას „ობშიაკის“ მიმართ ჰქონდა. უფრო მეტიც, „X“-მა დეტალურად აღწერა, თუ როგორ აყენებდნენ შეურაცხყოფას ვ.თ.-შვილი და ზ.ლ.-იანი, ციხის ორი მაყურებელი მომჩივნის შვილს მას შემდეგ, რაც მან ვერ შეძლო დაებრუნებინა „ობშიაკიდან“ აღებული სესხი 80 ლარის ოდენობით, რომლითაც მან « Ericsson T-10 » მობილური ტელეფონი შეიძინა სხვა პატიმრისგან. „X“-ის თქმით, მომჩივნის შვილი

ორჯერ უკვე იყო ნაცემი „მაყურებლების“ მიერ ამ ვალის გამო. პატიმარმა ასევე დეტალურად და დამაჯერებლად აღწერა მოვლენები, რომელთა თვითმხილველიც ის 2005 წლის 30 სექტემბერს გახდა. კონკრეტულად კი, როგორ მოიხმეს მომჩივნის შვილი „მაყურებლებმა“ სალაპარაკოდ და რამდენიმე წუთის შემდეგ ეს „მაყურებლები“ და კიდევ ერთი პატიმარი, ა.ბ.-ია როგორ მიათრევდნენ უგონოდ მყოფს საკუჭნაოში (უფრო მეტი დეტალებისათვის იხ. §§ 47-50).

89. სავარაუდოდ, გამოძიების დასაწყისში „X“ არაფერს ამბობდა მკვლელობის ვერსიის შესახებ. თუმცა, მისი სიჩუმე შესაძლოა საფუძვლიანად აიხსნას შიშის ფაქტორით, რომელიც თავადაც აღნიშნა. სასამართლო არ უგულუბელყოფს კარგად ცნობილ არაკანონიერ პრაქტიკას, რომელიც მოცემული შემთხვევის დროს არსებობდა საქართველოს ციხეებში და ჩვეულებრივ პატიმრებში შორის შიშს წარმოშობდა ქურდული სამყაროს წარმომადგენლებისა თუ ციხის ადმინისტრაციის მიმართ (იხ. ასევე შესაბამისი ამონარიდები საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის პრაქტიკის შესახებ ა.შ.შ.-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში, §61), რომელთაც, მომჩივნის თქმით, კარგად შეეძლოთ ემოქმედათ „მაყურებლების“ მეშვეობით (§§ 66-68). უფრო მეტიც, ზურაბ ცინცაბაძის მამის თქმით, რომელიც ციხეში მისი შვილის ცხედრის წამოსაღებად 2005 წლის 1 ნოემბერს მივიდა, მას მიუახლოვდა „X“ და თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, თუმცა ეს ვერ მოახერხა, რადგან ამ პროცესს თვალყურს ადევნებდა ერთ-ერთი ეჭვმიტანილი „მაყურებელი“ (§68). თავისთავად სასამართლოსათვის გასაგებია ის ფაქტი, რომ „მაყურებლებისა“ და ციხის ადმინისტრაციის ხელში მოქცეულ „X“ პატიმარს, რომელსაც მათი საწინააღმდეგო ინფორმაცია ჰქონდა, შეეშინდა ღიად ესაუბრა და გარდაცვლილის მშობლებს შესაბამის მინიშნებებს მხოლოდ სატელეფონო საუბრის დროს აძლევდა (§§ 43, 46 და 49). იგივე შიში შეიძლება გამხდარიყო იმისი მიზეზი, რომ კიდევ ერთმა პატიმარმა, ვ.მ.-შვილმა, რომელიც ასევე გახდა ზურაბ ცინცაბაძის სიკვდილის თვითმხილველი 2005 წლის 30 სექტემბერს, თავი შეიკავა „მაყურებლებისა“ და ციხის ადმინისტრაციის მამხილებელი განაცხადებისაგან (§§ 47, 64 და 57).

90. ამ თვალსაზრისით სასამართლო ვერ უგულუბელყოფს იმ ფაქტს, რომ ზურაბ ცინცაბაძის ცხედრის აღმოჩენისთანავე, როცა წინასწარი გამოძიების შედეგებიც კი არ არსებობდა, როგორცაა გვამის გაკვეთის შედეგი, რითაც სიკვდილის მიზეზი დადგინდებოდა; ციხის უფროსმა, აუცილებელი დისკრეციის გამოვლენისა და გამოძიების შედეგისადმი მიუკერძოებლობის შენარჩუნების ნაცვლად, საჯაროდ დაიწყო თვითმკვლელობის თეორიის, როგორც საეჭვო სიკვდილის ერთადერთი შესაძლო განმარტების გაცხადება. საინტერესოა, რომ ამ დროს ციხის უფროსმა შესძლო დაედგინა ზურაბ ცინცაბაძის თვითმკვლელობის მოტივიც – სიყვარული ყოფილი მეუღლის მიმართ (§§ 17 და 45). შესაბამისად, სასამართლო არ გამორიცხავს, რომ ციხის უფროსის აშკარად მიკერძოებული პოზიცია ზეგავლენას ახდენდა ციხის თანამშრომლებისა და ბინადრების, მათ შორის „X“-ის განცხადებებზეც, ვინაიდან გამოძიების დროს ეს მოწმეები მისი უშუალო უფლებამოსილებისა და ზედამხედველობის ქვეშ იყვნენ.

91. ნებისმიერ შემთხვევაში, ის ფაქტი, თუ რატომ მისცა „X“-მა თავისი მამხილებელი ჩვენება გამოძიების დასრულების შემდეგ, ნაკლებად მნიშვნელოვანია. უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეს განაცხადები, რომელიც მან სასამართლოს მიერ თვითმკვლელობის დაუსაბუთებელი ვერსიით დასრულებული გამოძიებიდან სამი თვის შემდეგ გააკეთა (§84) მოიცავდა არაერთ სერიოზულ და სანდო ინფორმაციას ზურაბ ცინცაბაძის სიკვდილთან დაკავშირებულ ფაქტებზე. შესაბამისად, ადგილობრივ ორგანოებს უშუალოდ ევალუბოდათ ყველა საჭირო ზომის მიღება ამ ბრალდებების გადასამოწმებლად, რომელიც ასევე დადასტურდა სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ გამართული გამოძიების მიხედვით, მათ შორის პასუხისგებაში მიეცათ „X“-ის მიერ მხილებული ადამიანები (იხ. ბრეკნელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, №32457/04, §§ 70-71, 27 ნოემბერი, 2007). ცხადია, რომ თუ გამოძალვის შესახებ ერთი საჩივარი მაინც გახდა „X“-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის დაუყოვნებლივ აღძვრის საფუძველი (იხ. §44), მაშინ ისმის ლოგიკური კითხვა – რატომ მოხდა, რომ ამდენი სერიოზული ბრალდება მაყურებლებისა და ხონის ციხის ადმინისტრაციის მიმართ, რომელიც ნათლად მიუთითებს ზურაბ ცინცაბაძის მკვლელობასა და დანაშაულის დაფარვაზე, არ გახდა სისხლის სამართლის საქმეების აღძვრის საფუძველი.

92. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ახალი ინფორმაციის მიღების შემდეგ, სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი ცინცაბაძის სიკვდილის საქმეზე ახალი და უფრო მრავალმხრივი გამოძიების დაწყების მაგივრად მხოლოდ ვ.თ.-შვილისა და ზ.ლ.-იანის მოწმის სახით მოკლე დაკითხვით შემოიფარგლა. უფრო მეტიც, იმის მაგივრად რომ ამ ორი ადამიანის მიმართ სიფრთხილე ყოფილიყო გამოჩენილი და საქმის ნორმალური მიმდინარეობის დროს ეს ადამიანები მთავარ ეჭვიტანილებად დასახელებულიყვნენ (იხ. ანგელოვა ბულგარეთის წინააღმდეგ, №38361/97, §120, ECHR, 2002-IV), საგამოძიებო ორგანომ უბრალოდ მიიღო მათი ჩვენებები რომელშიც ვ.თ.-შვილი და ზ.ლ.-იანი მხოლოდ იმას ამბობდნენ, რომ ისინი „მაყურებლები“ არ იყვნენ და უარყოფდნენ „ობშიაკის“ პრაქტიკის არსებობას ციხეში, ამ უკანასკნელის არაოფიციალური სტატუსიდან გამომდინარე (§51). ხელისუფლებამ არ განახორციელა რაიმე შემდგომი საგამოძიებო ღონისძიება, რომელიც „X“-ის ბრალდებას დაამტკიცებდა ან გააქარწყლებდა. ასე, მაგალითად, მას შეეძლო მისულიყო ადვოკატ ნ.ა.-ძესთან, რომელიც, საქმის მასალების თანახმად, ასრულებდა დამაკავშირებელ როლს მომჩივანსა და „X“-ს შორის და რომელიც, შესაბამისად, ინფორმაციის დამატებითი წყარო შეიძლებოდა გამხდარიყო „X“-ის ბრალდებების თვალსაზრისით (§§ 32 და 49); ასევე შესაძლებელი იყო მომჩივნის დის დაკითხვაც, რომელმაც ასევე იცოდა მისი დისშვილის ვალის შესახებ „ობშიაკის“ მიმართ (§29). საგამოძიებო ორგანომ ასევე არ შეამოწმა ის ვერსია, რომ ციხის უფროსი, ა.ლ.-იანი იყო ერთ-ერთი ეჭვიტანილის, ზ.ლ.-იანის ნათესავი. ამ ფაქტის დადგენა ასევე გამოავლენდა ამ ორს შორის შეთანხმების ფაქტს (§54).

93. ზემოთ მოცემული დაკვირვებები სასამართლოს საკმარის საფუძველს აძლევს საქმეში არსებული სხვა შესაბამისი გარემოებების ანალიზის გარეშე დაასკვნას, რომ მომჩივნის ვერსია მკვლელობის შესახებ, რომელიც შემდგომ

თვითმკვლევლობით შეინიღბა, მისაღებია და სულ მცირე, ისეთივე სანდოა, როგორც თვითმკვლევლობის ოფიციალური ვერსია. ხელისუფლების ორგანოებმა კარგად ვერ გამოიძიეს მკვლევლობის ვერსია მიუხედავად მათი ვალდებულებისა გამოერკვიათ ყველა ფაქტი (იხ. ვაჩკოვი, §§ 86 და 88, და კოლევი, ხსენებული ზემოთ, §201, ორივე ხსენებული ზემოთ).

(გ) დასკვნა

94. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო ადგენს, რომ მომჩივნის შვილის სიკვდილის საქმის გამოძიება არ იყო დამოუკიდებელი, ობიექტური ან ეფექტური.

95. ამგვარად, სასამართლო ასკვნის, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ მოახერხა, დაეკმაყოფილებინა მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი, რომელიც დამაკმაყოფილებელ და დამაჯერებელ ახსნას უზრუნველყოფდა ზურაბ ცინცაბაძის ციხეში საექვო გარემოში მომხდარ სიკვდილთან დაკავშირებით და შესაბამისად, პირდაპირ სახელმწიფოს პასუხისმგებლობას აყენებს სიცოცხლის დაკარგვასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საქმეში სახეზეა კონვენციის 2-ე მუხლის დარღვევა (იხ. *მოისიევი პოლონეთის წინააღმდეგ*, №11818/02, §65, 24 მარტი 2009 და ბეკერი, ხსენებული ზემოთ, §§ 55 და 54).

II. კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლების სავარაუდო დარღვევა

96. მე-2 მუხლთან ერთად კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლებზე დაყრდნობით, მომჩივანმა კიდევ ერთხელ გაიმეორა თავისი საჩივარი შვილის სიკვდილისა და გამოძიების შეუსაბამოდ განხორციელების შესახებ, რამაც მისი ტანჯვა გამოიწვია.

97. თუმცა, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, რომელიც განაცხადში მითითებულ უმთავრეს საკითხთანაა დაკავშირებული, სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში საჭირო არ არის კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლების საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიების ცალკე განხილვა (იხ. ხაინდრავა და ძამაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, № 18183/05, §72, 8 ივნისი 2010 და აბდულა უილმაზი თურქეთის წინააღმდეგ, № 21899/02, § 77, 17 ივნისი 2008).

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

98. კონვენციის 41-ე მუხლში მოცემულია:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

ა. ზიანი

99. მომჩივანი ითხოვს 15.000 ევროს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

100. მთავრობა მომჩივნის მოთხოვნას უსაფუძვლოდ და გადაჭარბებულად მიიჩნევს.

101. სასამართლოს ეჭვი არ ეპარება, რომ მომჩივანმა განიცადა მწუხარება და იმედგაცრუება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი მისი შვილის ბურუსით მოცული სიკვდილისა და ხელისუფლების ორგანოების მიერ სიკვდილის ფაქტის დამაჯერებლად გამოძიების შეუძლებლობის გამო. ხელმძღვანელობს რა სამართლიანობის პრინციპით, სასამართლო სრულად აკმაყოფილებს მომჩივნის მიერ 15.000 ევროს მოთხოვნას მორალური ზიანის ანაზღაურების სახით. აღნიშნულ თანხას ასევე უნდა დაემატოს ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გახდეს გადასახდელი.

ბ. გაწეული ხარჯები და დანახარჯები

102. მომჩივანი 1.450 ევროსა და 2.200 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგს (2.570 ევრო) ითხოვს სასამართლოს წინაშე თავისი წარმომადგენლების, ქართველი ადვოკატისა და ორი ბრიტანელი ადვოკატისათვის (§2). ეს ორი თანხა დაიყო ადვოკატების მიერ საქმეზე დახარჯული საათებისა და იურისტების საათობრივი ანაზღაურების მიხედვით – სულ 29 სთ. და საათში 50 ევრო ქართველი იურისტისათვის, ხოლო ბრიტანელი იურისტებისათვის 22 სთ. და საათში 100 ბრიტანული ფუნტი. ეს მოთხოვნა ასევე მოიცავდა იურიდიული მომსახურების სახესა და თარიღებს. მომჩივანმა წარმოადგინა ბრიტანელი ადვოკატების ინვოისი, სადაც ნათქვამია, რომ 15 თებერვალს ბატონმა ბოურიუნგმა 200 ფუნტი მოითხოვა ორი საათისათვის, რომელიც მან საქმის მასალების განხილვაზე დახარჯა. სხვა ინვოისები ან ვაუჩერები წარმოდგენილი არ ყოფილა.

103. მომჩივანი ასევე ითხოვს 175 ბრიტანულ ფუნტს (204 ევრო) და 467 ევროს საფოსტო, სატელეფონო, სათარჯიმნო და სხვა სახის ადმინისტრაციული

ხარჯებისათვის. ამ მოთხოვნის მხარდასაჭერად მომჩივანმა საფოსტო ქვითრის მხოლოდ ასლი წარმოადგინა, რომელიც აჩვენებს, რომ 64 ლარი (27 ევრო) გადაიხადა პირველი საჩივრის თბილისიდან სტრასბურგში გასაგზავნად 2008 წლის 15 თებერვალს. აქვეა მოცემული ცნობა, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრმა (EHRAC) კონკრეტულ პირს 421 ა.შ.შ. დოლარი (307 ევრო) გადაუხადეს მათი საერთო ბიუჯეტიდან დაუკონკრეტებელი დოკუმენტების თარგმანში. ეს ცნობა არ მოიცავდა რაიმე დამატებით ინფორმაციას თარგმანის ამ კონკრეტულ საქმესთან კავშირის შესახებ.

104. მთავრობა აცხადებს, რომ მოთხოვნები ძირითადად უსაფუძვლო და გადაჭარბებულია. ის ასევე აცხადებს, რომ მომჩივნის წარმომადგენელი, სოფიო ჯაფარიძე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრია და ეს არასამთავრობო ორგანიზაცია მომსახურებას უსასყიდლოდ უწევს საქართველოს მოსახლეობას. შესაბამისად, არ იყო არანაირი მოთხოვნა, რომ მომჩივნის რაიმე ხარჯი ანაზღაურებულიყო ამ კონკრეტული იურისტის მიერ მისი წარმომადგენლობისთვის.

105. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მიუხედავად საჭირო ფინანსური დოკუმენტების არარსებობისა, არაა გამორიცხული ქართველი და ბრიტანელი იურისტების მიერ აუცილებელი მომსახურების გაწევის ფაქტი (იხ. ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ, № 30779/04, §103, 6 ნოემბერი 2007). რაც შეეხება საქართველოს მთავრობის არგუმენტს, რომ ვინაიდან ქართველი ადვოკატი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი იყო, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციაა და იურიდიული დახმარება ავტომატურად უფასოდ უნდა იყოს მიჩნეული, სასამართლო ადგენს, რომ ბოლო ხანებში განხილულ საქართველოს სხვა საქმეში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და EHRAC-ის იურისტთა გუნდური მუშაობა ვერ დარჩებოდა კომპენსაციის გარეშე და ადვოკატების საქმიანობის მსგავსი საბუთი – დეტალური და სანდო დაყოფა და ნამუშევარი საათები საკმარის დასტურს წარმოადგენს მომჩივნის წარმომადგენლების ხარჯების შესახებ (იხ. *კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ*, № 7975/06, §§ 91-94, 2 თებერვალი 2010, და *ვოკოვა რუსეთის წინააღმდეგ*, № 55723/00, §149, ECHR, 2005-IV). ამგვარად, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო მიზანშეწონილად თვლის 1.450 ევროსა და 2.200 ბრიტანული ფუნტის (2.570 ევრო) გადახდას მომჩივნის ქართველი და ბრიტანელი ადვოკატებისთვის.

106. საფოსტო, თარგმანისა და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯებთან დაკავშირებით, სასამართლო, პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარე (იხ. ლავთაძე საქართველოს წინააღმდეგ, № 23204/07, §§ 118 და 120, 3 მარტი 2009) და წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისად თვლის, რომ მომჩივანს 27 ევრო უნდა გადაეხადოს საჩივრის გამოგზავნის საფასურის ანაზღაურების მიზნით.

გ. საურავი

107. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო, ერთხმად,

1. აცხადებს დასაშვებად მომჩივნის მიერ კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიებს;

2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი;

3. ადგენს, რომ არ არსებობს მომჩივნის დანარჩენი პრეტენზიების განხილვის საჭიროება;

4. ადგენს, რომ

ა) მოპასუხე სახელმწიფომ, მომჩივანს, კონვენციის 44-ე (§2) მუხლის შესაბამისად, განაჩენის ძალაში შესვლის დღიდან 3 თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, უნდა გადაუხადოს:

(1) 15.000 (თხუთმეტი ათასი) ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით. აღნიშნულ თანხას დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს;

(2) 4.047 (ოთხი ათას ორმოცდაშვიდი) ევრო გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით. აღნიშნულ თანხას დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს;

(ბ) აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება, გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი;

5. უარყოფს მომჩივნის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2011 წლის 15 თებერვალს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე (§§ 2 და 3) მუხლის შესაბამისად.

ფრანსუაზ ელენს-პასოსი
სექციის განმწესრიგებლის მოადგილე

ფრანსუაზ ტულკენსი
თავმჯდომარე